გამოდის ითვლებოდეთ

№26 (290)

ქართული ალიტყეკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

ფასი 1 ლარი

1 – 7 ივლისი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„ოცეულის“ წევრებმა ეკლესიის კონტროლი დაიწყეს!“

>>> მე-8-9 გვ.



© გოგა ჩანადირი

არქიმანდრიტი დემეტრე: „საპატრიარქო პროცესებში აქტიურადაა ჩართული – გამოსავალს ერთად ვეძებთ. ყველამ ვიცით, რომ კახში ჩემამდე მყოფ ყველა სასულიერო პირს დიდი პრობლემები ჰქონდა და იქ, მაქსიმუმ, წელიწადნახევარი თუ ძლებდნენ. სახელმწიფო კანცელარიას მივმართეთ, რათა დაგვეზუსტებინა ორმაგი მოქალაქეობის მიღების გარემოებები და გაირკვა, რომ აზერბაიჯანის მოთხოვნით, ორმაგი მოქალაქეობა შესაძლებელი აღარაა“.

რას ნიშნავს „ოცეული“ და ვინაა მადონა ბოლოშვილი

>>> მე-2-3-4 გვ.

რუსეთი საქართველოში ანტიტერორისტულ ოპერაციას გეგმავს?!

„ვერ გეტყვით, რამდენად სწორია ინფორმაცია, მაგრამ ამბობენ, რომ მათ, ვინც წინა ხაზზე იბრძვიან, წესით, დღეში 150 დოლარი უნდა გადაუხადონ, მაგრამ მხოლოდ ასს აძლევენ და არავინ იცის, თითო მებრძოლისთვის გამოყოფილი 50 დოლარი სად მიდის. მათ კი, ვინც წინა ხაზზე არაა, დღეში 50 დოლარს უხდიან. ჩემი აზრით, ეს „მოტეხილი“ თანხა უკრაინაში ემიგრირებულ „ნაცმოძრაობის“ ელიტის შენახვას ხმარდება, თან „ნაციონალები“ ასეთ სქემებში დიდი ხანი მონაწილეობდნენ და კარგად იციან, გრანტებსა და სხვა დახმარებიდან ფული როგორ „მოტეხონ“.

რა ღირს „ნაიომნიკობა“ და რა ჩაიფიქრა „ისლამურმა სახელმწიფომ“

თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზში“ სწავლება კიდევ ორმა უცხოელმა ექიმმა გაიარა

>>> მე-15 გვ.

talizi
თმის გადანერგვის ცენტრი
გაშაქენტის 27, ტელ: 2141515
www.talizi.ge

„თალიზი“ – მსოფლიო ბრენდი საქართველოდან

თაკო ჩარკვიანი: „ველოდები, რომ ბიძინა ივანიშვილმა „გაყვინიზებული“ ადამიანები დაიფრინოს!“

>>> მე-10-11 გვ.

„ვინ რა უნდა მოგახვიოს? დიდი ბოდიში და, 1978 წელს რუსეთი ენას მართმევდა და 1989-ში რუსთაველზე ამჩეხა. მოდი, ვიდრე დასავლეთის არარსებულ ცუდზე ვისაუბრებთ, ჯერ ის ჩამოვთვალოთ, რაც რუსეთის იმპერიამ გაგვიკეთა! ევროპელის მიერ წართმეული საქართველოს ტერიტორია არ მინახავს. სამაგიეროდ, მახსოვს, გორში რუსის ჩექმა რომ მოვიდა, ამერიკელები ნეიტრალურ წყლებში დასახმარებლად შემოვიდნენ! რუსთაველზე ამერიკელის კი არა, რუსის ჩექმა მინახავს! ისე, ჩექმა არავისი მინდა და თუ ცუდი მთავრობა გვეყოლება, ამერიკასა და ევროპას ნუ დავაბრალებთ! აბა, ნორმალური მთავრობა მოიყვანე და ნახავ, ვინ რას მოგახვევს და გაგიბედავს?!“

განათლების მინისტრის N576 ბრძანება, რომლითაც

>>> მე-8 გვ.

პედაგოგებს ფულს „ახევენ“

რა ცვლილებები შედის სექტემბრიდან მასწავლებელთა დანამატის გაცემის წესში და რას დაჰპირდა თამარ სანიკიძე განათლების პროფკავშირებს

ზოოპარკის ყოფილი თანამშრომელი 13 ივნისის ტრაგედიის მიზეზებს ასახელებს

>>> მე-12 გვ.

„ცხოველები ასე სადისტურად და მასობრივად არ უნდა გაეჟლიტათ!“

2 № 26 (290) 1 – 7 ივლისი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სპანდალური ექსკლუზივი

რუსეთი საქართველოში ანტიტერორისტულ ოპერაციას გეგმავს?!

„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა 70 პროცენტი კავკასიელია. მეორეც, ამ „ფილიალის“ გახსნით, ისლამური სახელმწიფო კავკასიაზე გავლენას მოიპოვებს, რაც ევროპისთვის მძიმე შედეგის მომტანი იქნება – ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც ევროპისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პრაქტიკულად, დარტყმის ქვეშ აღმოჩდება. ასევე, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება სამხრეთ კავკასიაში ამერიკული ინტერესები. ასეთი სიტუაციის შექმნა კი, რუსეთს აწყობს“.

„საფრთხე რეალურია!“ – ასე აფასებს ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ვიალიეთის შექმნას უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე, რომელსაც ამ თემაზე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში ადრეც უსაუბრია. საერთოდ, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს, ფორჩხიძე კონტრდაზვერვის ხაზით მუშაობდა და, როგორც ამბობს, ამ თემებთან, ანუ აგრესიულ ისლამთან გარკვეული შეხება ჰქონდა... მოკლედ, როგორ მოიკიდა საქართველოში ფეხი ვაჰაბიზმმა, რატომ გადაწყვიტა „ისლამურმა სახელმწიფომ“ ე.წ. ფილიალის გახსნა მაინცდამაინც ჩრდილოეთ კავკასიაში, რა პროვოკაციებს უნდა ველოდოთ საქართველოს საზღვრებზე და არსებობს თუ არა ფარული შეთანხმება რუსულ სპეცსამსახურებსა და ისლამისტებს შორის? – „ქართული სიტყვა“ ქართველი სპეცსამსახურელის დასაბუთებულ ანალიზს წარმოგიდგენთ.

– რამდენიმე დღის წინ, „ისლამურმა სახელმწიფომ“ განაცხადა, რომ ჩრდილოეთკავკასიაში ე.წ. ფილიალს ქმნის. საგარეო პოლიტიკაში ცვლილებებს უნდა ველოდოთ, ბატონო კოტე?

– რა თქმა უნდა...

ჩრდილოკავკასიაში „ისლამურ სახელმწიფოს“ აბუ მუჰამედ ალ ქადირი უხელმძღვანელებს, თუმცა არ ვიცით, ვინაა, ანუ შესაძლოა, ჩრდილოკავკასიელია, თორემ ვერ წარმომიდგენია, რომ კავკასიელებს სათავეში არაბი ჩაუდგეს. ეს ალ ქადირი შეიძლება, ახლო აღმოსავლეთის რომელიმე ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელიცაა, თუმცა აქ საინტერესო უფრო სხვა რამეა.

– სახელდობრ?

– ვანო, თუ გახსოვთ, წინა ინტერვიუში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე ვისაუბრეთ, რომელიც 2005 წელსაა მიღებული და რომელშიც ჩრდილოეთკავკასიიდან საფრთხის, ასე ვთქვათ, გადმოდინებას ერთი თავი ეძღვნება, თუმცა კონკრეტიკაზე არაფერია ნათქვამი. საერთოდ, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში გაწერილ ყველა რისკსა და საფრთხეზე საგანგებო გეგმა უნდა არსებობდეს, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი კრიზისის დროს, ძალოვანი და სხვა უწყებები უნდა მოქმედებდნენ, თუმცა, როგორც ვიცი, ასეთი გეგმა არც „ნაციონალების“ დროს არსებობდა და არც ახლა არსებობს.

– ტერორიზმთან ბრძოლის გეგმაზე ლაპარაკობთ?

– დიახ, თუმცა ამ შემთხვევაში, ტერორიზმი და ჩრდილოეთკავკასიიდან კონფლიქტის „გადმოდინება“ ერთი და იგივეა.

– კოტე ბატონო, ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური გეგმა მსოფლომ ვერ შეიმუშავა და ამ მხრივ ჩვენი ძალოვანებისთვის პრეტენზიების წაყენება, მგონი, უხერხულია!

– ეს გასაგებია, მაგრამ რისი საშუალება და შესაძლებლობაც გვაქვს, ისე უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოში ტერორიზმი, მით უმეტეს, ისეთი, რომელსაც საფუძვლად რადიკალური ისლამი უდევს, არ გავრცელდეს. არაერთხელ მითქვამს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის სამსახური უნდა გაძლიერდეს. ასევე, მაქსიმალური ყურადღება იმ რეგიონებს უნდა დაეთმოს, სადაც მუსულმანური რელიგია პრიორიტეტულია. ასეთი რეგიონი საქართველოში რამდენიმეა: აჭარა, ქვემო ქართლი, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და ორი ზონა კახეთში – პანკისი და ავარიელების სოფელი.

სიმართლე გითხრათ, ამ სიტუაციას სხვანაირად ვუყურებ: ჯერ დასადგენია, ჩრდილოკავკასიაში ე.წ. ფილიალის შექმნის შესახებ განცხადება მართლა „ისლამურმა სახელმწიფომ“, უფრო სწორად, მისმა პირველმა პირმა გაავრცელა თუ არა. თუ პირველი პირის განცხადებაა, მაშინ სხვანაირი შეფასება უნდა გავაკეთოთ.

– ასეა თუ ისე, საინტერესოა, „ისლამური სახელმწიფო“ ჩრდილოკავკასიაში ე.წ. ფილიალს რატომ ხსნის?

– იმიტომ, რომ ჯერ ერთი, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა 70 პროცენტი კავკასიელია. მეორეც, ამ „ფილიალის“ გახსნით, ისლამური სახელმწიფო კავკასიაზე გავლენას მოიპოვებს, რაც ევროპისთვის მძიმე შედეგის მომტანი იქნება – ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც ევროპისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პრაქტიკულად, დარტყის ქვეშ აღმოჩდება. ასევე, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება სამხრეთ კავკასიაში ამერიკული იტერესები. ასეთი სიტუაციის შექმნა კი, რუსეთს აწყობს.

– რატომ?

– ხელ-ფეხი გაეხსნება და იტყვის, რომ ყველაფერი მის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ ჩრდილოკავკასია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაშია. ასევე, ლაპარაკია თათარისტანსა და რუსეთის შუაგულში მდებარე იმ რეგიონებზე, სადაც ე.წ. ისლამური საფრთხე არსებობს. ამიტომ, თუკი ეს ძალები გააქტიურდებიან, რუსეთს სრული უფლება ექნება, ანტიტერორისტული ოპერაცია განახორციელოს.

– შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ფედერაციასა და „ისლამურ სახელმწიფოს“ შორის ფარული შეთანხმება არსებობს?

– დიახ, შეიძლება... არ მგონია, რუსეთის სპეცსამსახურებს სირიაში თავიანთი აგენტურის მარშრუტირება არ მოეხდინათ. თუკი ასეა, მაშინ კრემლი თავის გავლენის აგენტებს, ცხადია, საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად გამოიყენებს.

– ეს ინტერესი რა არის?

– რა და, – სამხრეთით გაფართოება. კერძოდ, კავკასიის ხელში სრულად ჩაგდება, პლუს, ირანთან პირდაპირი კომუნიკაციის აღდგენა და სირიაში არსებული რეჟიმის შენარჩუნება. ყველაფერ ამით კი, პუტინი რუსეთის გავლენას სპარსეთის ყურემდე გაზრდის.

– ისე, რუსულ სპეცსამსახურებს ხელეწიფებათ, რომ ფედერაციის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ „ფილიალის“ შექმნა აღკვეთონ?

– დიახ, ხელეწიფებათ...

ისეთი საომარი მოქმედებების განახლება, როგორიც ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომების დროს იყო, მოსალოდნელი არაა. ადგილი უფრო ლოკალურ დაპირისპირებას ექნება, რაც შეიძლება, ისლამისტთა ჯგუფების ფედერაციაში შესვლას მოჰყვეს.

– ამ ფონზე, ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: თუკი კრემლსა და ისლამისტებს შორის ფარული შეთანხმება არ არსებობს, „ისლამურმა სახელმწიფომ“ „ფილიალის“ შექმნის თაობაზე საჯაროდ რატომ განაცხადა? უფრო ხელსაყრელი არ იქნებოდა, რომ ჩუმად ემოქმედა და თუნდაც პუტინი ფაქტის წინ დაეყენებიან?

– მეც სწორედ ამას ვამბობ. დიახ, ბევრი შეკითხვა და ნიუანსია, რომელიც ეჭვს აჩენს, რომ ყველაფერი ეს რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა ხომ არაა. ვიმეორებ: ამ „ფილიალის“ შექმნით, რუსეთს ხელ-ფეხი ეხსნება, რომ სახმელეთო ოპერაციების განხორციელება დაიწყოს. საამისოდ კი, კავკასია სჭირდება.

– სხვათა შორის, „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი პანკისელი ქართველია, რომელმაც რამდენიმე თვის წინ, მუქარის წერილი გაავრცელა, საქართველოში, მეგობრებთან ერთად, დავბრუნდები და რუსეთს პასუხს მოვთხოვო. მოკლედ, ყველაფერი ეს ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ?

– რა თქმა უნდა...

– რამდენიმე კვირის წინ, თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში ლაფანყურის სპეცოპერაციის მთავარი მოწმე და თვითმხილველი, ზელიმხან ხანგოშვილის დაჭრაც, ალბათ, ამ ჯაჭვის რგოლია, არა?

– დიახ და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პანკისში, უხუცესებსა და ვაჰაბიტებს შორის გარკვეული დაპირისპირება არსებობს.

– სპეცოპერაცია, რომელზეც წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ და რომელიც პანკისში 13 ივნისს ჩატარდა, მაშასადამე, მთლად „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა“ არ ყოფილა...

– ამ საფრთხეების მიუხედავად, სპეცოპერაციის ჩატარება საჭირო მაინც არ იყო.

– კიდევ ერთხელ დამისაბუთეთ, რატომ?

– ბორჩაშვილი, ვის წინააღმდეგაც ეს სპეცოპერაცია ჩატარდა, შეეძლოთ, პოლიციაში დაკითხვაზე დაებარებინათ.

– ეგებ, სპეცოპერაცია ოპერატიული თამაშების ერთგვარი მესიჯი იყო?

– ასეთი მესიჯები ძალიან საფრთხილოა, მით უმეტეს, იმ სურათიდან გამომდინარე, რა სურათიც დღეს კავკასიაში იხატება.

მოკლედ, რუსეთს ხელ-ფეხი ეხსნება და ის პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებსაც რუსეთის ტერიტორიაზე დევნას დაუწყებენ, შეიძლება, საქართველოში იქნან გადმოდენილი, რაც რუსეთს საბაბს მისცემს, რომ ანტიტერორისტული ოპერაცია საქართველოში განახორციელოს, მით უმეტეს, დუმა-მ დიდი ხნის წინ მიიღო კანონი, რომლითაც რუსეთს უფლება აქვს, საკუთარი მოქალაქეების დასაცავად ანტიტერორისტული თუ საომარი ოპერაციები ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორია-

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

1 – 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 26 (290)

3

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲒᲘᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ზე განახორციელოს.

თუკი მოვლენები ამ სცენარით განვითარდება, ეს ჩვენთვის ძალიან ცუდი იქნება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქიდან, სადაც რუსი ტანკით შევიდა, თავისი სურვილით გასული არავის უნახავს! ამიტომ, დასავლეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ ეს პროცესები მისთვისაც საშიშია, განსაკუთრებით, ენერგომატარებლების კუთხით.

– ვთქვათ, დასავლეთმა საფრთხე გააცნობიერა, მაგრამ რა უნდა გააკეთოს?

– რა და, – კავკასიას, პირველ რიგში, საქართველოს მეტი ყურადღება დაუთმოს.

– „ყურადღების დათმობაში“ რას გულისხმობთ?

– შეიარაღება მისცეს. აშშ-მ კი, საქართველო მეკავშირედ ოფიციალურად უნდა აღიაროს. მაპ-ის მისაღებად რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

– ყველაფერი ეს დროშია გაწერილი...

– მესმის, მაგრამ უნდა დაჩქარდეს...

სხვთა შორის, არაერთხელ მომხდარა, რომ რუსული სპეცსამსახურებისგან დევნილი ჩეჩენი ბოევიკები საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსულან. თუკი ახლაც ასე მოხდება, რუსეთი აღარ გაჩერდება და იძულებულნი გავხდებით, ბოევიკების ნეიტრალიზაციის თვალსაზრისით, კრემლთან თანამშრომლობა დავიწყოთ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა ბოევიკებთან თანამშრომლობაში დაგვადანაშაულოს და ამით ძალიან ცუდ, ანუ დაახლოებით, ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორშიც 2008 წლის აგვისტოს ომის წინა პერიოდში ვიყავით.

– ტერორიზმს ეროვნება არ აქვს. აქედან გამომდინარე, ცუდი რატომ იქნება, რომ ტერორისტებთან ბრძოლის საკითხში კრემლთან ვითანამშრომლოთ?

– გააჩნია, რუსეთის მიზანი რა იქნება, თუმცა ვიმეორებ: ის არ გაჩერდება და თავისი ტერიტორიული მთლიანობა რომ უზრუნველყოს, შეეცდება, კონფლიქტი საზღვრებს გარეთ გაიტანოს!

– ბატონო კოტე, მოდით, ასეთი სცენარიც განვიხილოთ: ვთქვათ, ბოევიკებმა ჩვენი საზღვარი გადმოლახეს და რუსეთმა ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება განიზრახა. ამ შემთხვევაში, ჩვენმა ხელისუფლებამ ნებართვა უნდა მისცეს?

– რუსეთისთვის ნებართვა საჭირო არაა.

– ეს ხომ სუვერენული სახელმწიფოს ინტერესების ხელყოფა იქნება?

– თუკი არაბი და სხვა ისლამისტი ტერორისტები საქართველოში აღმოჩნდებიან, რუსეთი არავის არაფერს ჰკითხავს, ჩვენს საზღვრებს გადმოლახავს და მოქმედებას დაიწყებს.

– ეს ხომ პრაქტიკულად, ომის გამოცხადება იქნება?

– დიახ...

– წესით, კრემლმა ქართულ მხარეს ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება უნდა შესთავაზოს?

– რა თქმა უნდა, მაგრამ რუსეთს სხვა გეოპოლიტიკური მიზნები აქვს და სიტუაციის ფორსირებას მოახდენს. ვანო, თუ გახსოვთ, ადრეც გითხარით, რუსეთი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციას აუცილებლად დაიწყებს-მეთქი. ბოლოდროინდელი მოვლენები და განცხადებები სწორედ ამ კონტექსტში ჯდება.

„რუსეთს ხელ-ფეხი ეხსნება და ის პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებსაც რუსეთის ტერიტორიაზე დევნას დაუწყებენ, შეიძლება, საქართველოში იქნან გადმოდენილი, რაც რუსეთს საბაბს მისცემს, რომ ანტიტერორისტული ოპერაცია საქართველოში განახორციელოს, მით უმეტეს, დუმა-მ დიდი ხნის წინ მიიღო კანონი, რომლითაც რუსეთს უფლება აქვს, საკუთარი მოქალაქეების დასაცავად ანტიტერორისტული თუ სამხედრო ოპერაციები ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელოს... ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ რუსეთმა სახმელეთო ოპერაციები დაიწყოს. საამისოდ კი, პირველ რიგში, ერევანში დისლოცირებულ გიუმრის ბაზას გამოიყენებს, რომელიც სირიასთან ყველაზე ახლოსაა და რომლითაც ლოჯისტიკას განახორციელებს... სახმელეთო გზები კი, საქართველოზეც გადის... თუკი მოვლენები ისე განვითარდა, რასაც ვამბობ, რუსის ჯარი საქართველოზე აუცილებლად გაივლის. დიახ, საფრთხე რეალურია!“

რა ღირს „ნაიომნიკობა“ და რა ჩაიფიქრა „ისლამურმა სახელმწიფომ“

– მაშასადამე, კოტე ბატონო, არსებობს ალბათობა, რომ საქართველოს საზღვრებზე სისხლიანი პროვოკაციები მოხდეს?

– გამორიცხული არაა! ამიტომ, საზღვრის კონტროლი მაქსიმალურად უნდა გავაძლიეროთ. გენშტაბის უფროსმა განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს ამ საფრთხის ნეიტრალიზაციის გეგმა აქვს. თუკი ასეა, მაშინ მართვა მთლიანად შეიარაღებული ძალების გენშტაბის დაქვემდებარებაში უნდა გადავიდეს...

– ყველაფერ აქედან გამომდინარე, ჩვენი შეიარაღებული ძალები ე.წ. ყაზარმულზე ხომ არ უნდა გადავიდნენ?

– არა, ამის საფუძველი არაა. ისე, საბრძოლო მზადყოფნის სხვადასხვა დონე არსებობს, რომელიც შექმნილი სიტუაციის შესაბამისად ცხადდება.

– საბრძოლო მზადყოფნის სულ რამდენი დონე არსებობს?

– სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

– ყველაზე საგანგაშო რომელი დონეა?

– მეხუთე... საბრძოლო დონეების ისეთი გრადაცია, როგორც დასავლეთშია, რუსულ შეიარაღებულ ძალებს არ აქვს...

– ბატონო კოტე, მართალია, გენშტაბის უფროსის სიტყვები მოიშველიეთ, საქართველო ტერორიზმთან საბრძოლველად მზადაა, მაგრამ რომელ მზადყოფნაზეა ლაპარაკი, როცა 13 ივნისს, სტიქიის დროს, სუპერ „პუმას“ ვერტმფრენებიც არ გამოიყენეს. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიცია ტკვარცალებს, ხელისუფლებას „პუმები“ რომ გამოეყენებინა, მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდაო...

– ტექნიკის გამოყენებას შესაბამისი გარემო და შესაძლებლობა სჭირდება...

– ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჰოლივუდურ ბლოკბასტერებში გვინახავს, სტიქიური უბედურების დროს, მაშველები ვერტმფრენებს რომ იყენებენ...

– ჰოლივუდურ ფილმებში ბევრი რამ გვინახავს, მაგრამ წარღვნის ადგილას „პუმების“ გამოყენება შეუძლებელი იყო და თინა ხიდაშელმა სიმართლე თქვა – საფრთხე მხოლოდ განსაცდელში მყოფ ადამიანებს კი არა, მაშველებსაც შეექმნებოდათ.

– თუკი არაფერში გამოვიყენებთ, აბა, ვერტმფრენები რითვისღა ვიყიდეთ?

– ეს მიშას უნდა ჰკითხოთ... 13 ივნისს, უპრიანი, მცირეგაბარიტიანი, ანუ ორ-სამადგილიანი ვერტმფრენების გამოყენება იქნებოდა.

– ასეთი ვერტმფრენები გვყავს?

– როგორც ვიცი, შეიარაღებულ ჯარებს ერთი „იროკეზი“ ჰყავს, რომლის გამოყენებაც, ვფიქრობ, შესაძლებელი იყო, მაგრამ არ ვიცი, სტიქიის ადგილას, 15-20 მეტრში ელექტროგადამცემი ბოძები არის თუ არა...

– რა ამის პასუხია, კოტე ბატონო და, მთელი კავკასია „გადაირია“ – „ისლამური სახელმწიფოს“ ზემოხსენებულ განცხადებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სომხეთში დიდი ვნებათაღელვაა. ზოგი ექსპერტი თვლის, რომ ერევნული მოვლენები ჩვენთვის ცუდია...

– მოდით, რა, ჩვენი მკვდარი ვიტიროთ!

– ამბობენ, რომ ერევანში რუსული სპეცრაზმი ჩავიდა...

– რა ჩასვლა უნდა, როცა ერევანთან ამხელა გიუმრის ბაზაა?!

– ინტერნეტით ზოგიერთი სომეხი „ფეისის“ კომენტარი ვრცელდება, ცუდი ვქენით, ევრაზიულ კავშირში რომ შევედითო...

– ჩემი ინფორმაციით, სომხეთში ეს განწყობა მასობრივი არაა...

– ანუ, არც უშვებთ, რომ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაწყებულმა პროტესტმა პოლიტიკური სახე მიიღოს და სომხები რუსეთს აუჯანყდნენ?

– არ მგონია...

– ესე იგი, კრემლი ერევნის მოვლენებს კავკასიის დასასჯელად ვერ გამოიყენებს?

– ვიმეორებ: ყველაფერი იქითკენ მიდ-

გაგრძელება მე-4 გვ.

სტოპკადრი

საფრანგეთის ტერაქტში ეჭვმიტანილი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირს უარყოფს

ლიონთან ახლოს მომხდარ ტერაქტში ეჭვმიტანილი უარყოფს, რომ მის უფროსს თავი ისლამისტებთან კავშირის გამო მოაჭრა. მან განაცხადა, რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზი ცოლთან და შეფთან მომხდარი ჩხუბი გახდა.

ქალაქ სენ-კანტენში მომხდარი ტერაქტის მთავარი ეჭვმიტანილი, 35 წლის იასინ სალის განცხადებით, მას არ აქვს ისლამისტებთან კავშირი. აღნიშნულის შესახებ საააგენტო როიტერს საგამოძიებო უწყებასთან დაახლოებულმა პირმა განუცხადა.

ეჭვმიტანილის განცხადებით, მან დანაშაული ცოლთან და უფროსთან მომხდარი ჩხუბის გამო ჩაიდინა.

27 ივნისს ეჭვმიტანილი ქალაქ სენ-კანტენში მდებარე გაზის საწარმოს ტერიტორიაზე ავტომობილით შეიჭრა და სავსე რეზერვუარს დაეჯახა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავებმა ისლამისტური დროშა და მამაკაცის მოჭრილი თავი აღმოაჩინეს. გამოძიების თანახმად, გარდაცვლილი ეჭვმიტანილის უფროსი ერვე კორნარაა. დაკითხვაზე, იასინ სალიმ უფროსის მკვლელობა აღიარა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბერნარ კაზნევის განცხადებით, 2006-2008 წლებში სალი ფრანგი სამართალდამცველების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

„პიაგე“

4

№ 26 (290)

1 – 7 ივლისი 2015

ქართული ტყვია

ეროვნული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სპანდალური ექსკლუზივი

მე-3 გვერდიდან

ის, რომ რუსეთმა სახმელეთო ოპერაციები დაიწყოს. საამისოდ კი, პირველ რიგში, ერევანში დისლოცირებულ გიუმრის ბაზას გამოიყენებს, რომელიც სირიასთან ყველაზე ახლოსაა და რომლითაც ლოჯისტიკას განახორციელებს... სახმელეთო გზები კი, საქართველოზეც გადის.

– ესე იგი, საქართველო ხელახალი რუსული ოკუპაციის წინაშე დგას?

– თუკი მოვლენები ისე განვითარდა, რასაც ვამბობ, რუსის ჯარი საქართველოზე აუცილებლად გაივლის. დიახ, საფრთხე რეალურია!

– ვიცით, რუსის ჩექმის გავლა რასაც ნიშნავს...

– დიახ, ეს ძალიან ცუდად დამთავრდება და გავლენას ჩვენს პოლიტიკურ სპექტრზეც მოახდენს.

– მაინც, რა გავლენას?

– რუსთაველზე რუსული ტანკის, თუნდაც ტრანზიტით გავლა, პოლიტიკურ განწყობებზე გავლენას, ცხადია, მოახდენს!

– რუსულ ტანკს წინააღმდეგობა რომ გავუწიოთ?

– წინააღმდეგობას გაარღვევს!

– დახმარება დასავლეთს რომ ვთხოვოთ?

– დასავლეთიც ვერაფერს იზამს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თვითონ აძლევს საფუძველს, რუსეთმა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს.

სხვათა შორის, სახმელეთო ოპერაციებს კრემლი ორ ფრონტზე გახსნის. ერთი კავკასია იქნება, მეორე კი, სირიასთან ახლოს მდებარე საზღვაო ბაზა, რომელზეც ბაშარ ასადის რეჟიმი დგას...

მოკლედ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საქართველოში რადიკალური ისლამური განწყობები არ გაჩნდეს და რუსეთს საბაბი არ მიეცეს, თქვას, პანკისში, აჭარაში, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლსა თუ ავარელების სოფელში ტერორიზმის საფრთხეაო.

– იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველები უკრაინაში საბრძოლველად მიდიან, უკმაყოფილება არაერთხელ გამოითქვა. არადა, პანკისიდან ხალხი სირიაშიც მიდის, თუმცა ამის შესახებ მხოლოდ „ლაითი“ განცხადებები გაკეთდა. ბატონო კოტე, ვფიქრობ, პანკისიდან მებრძოლების სირიაში წასვლა უფრო საშიშია, ვიდრე – უკრაინაში...

– ორივე საშიშია, მით უმეტეს, რომ კანონით, სხვა ქვეყნის საომარ მოქმედებებში ჩარევა იკრძალება. ყველაფერ ამას კი, პრაქტიკულად, „ნაიომნიკობის“ სუნი ასდის. თუკი საქართველოს მოქალაქე სხვა ქვეყანაში ბრძოლის სურვილს გამოთქვამს, ანაზღაურებაზეც უარი უნდა თქვას და მხოლოდ იდეის გამო იბრძოლოს. 1992 წელს, უკრაინელები, რომლებიც აფხაზეთის ომში იბრძოდნენ, ქართული მხარისგან ანაზღაურებას არ ითხოვდნენ... ჩემი აზრით, თანხის შეთავაზებაც კი უზნეობაა.

– საიდან იცით, რომ ქართველები უკრაინაში თანხის სანაცვლოდ იბრძვიან?

– ინფორმაცია ჩამოვიდა, რომ თითო მებრძოლს დღეში 150 დოლარს უხდიან.

– ვინ უხდის?

– თანხას მიხეილ სააკაშვილი, ასე ვთქვათ, კურირებს, რომელიც ორ ბატალიონს – ქართულ ლეგიონსა და ე.წ. დონბასის ბატალიონს აკონტროლებს. სხვათა შორის, მეგის ქარდავაც იქაა.

– ბატონო კოტე, ფაქტების დასახელება შეგიძლიათ?

– მაგალითად, გომბორის ბატალიონის ყოფილი წევრი (გვარს შეგნებულად არ დავასახელებ), უკრაინაში სამი თვე და 10 დღე იბრძოდა და, როგორც ვეტერანებს უთხრა, 30 დოლარი ჩამოიტანა.

– გამორიცხავთ, რომ გომბორის ბატალიონის ყოფილი წევრი იტყუებოდეს?

– არა...

ვერ გეტყვით, რამდენად სწორი ინფორმაციაა, მაგრამ ამბობენ, რომ მათ, ვინც წინა ხაზზე იბრძვიან, წესით, დღეში 150 დოლარი უნდა გადაუხადონ, მაგრამ მხოლოდ ასს აძლევენ და არავინ იცის, თითო მებრძოლისთვის გამოყოფილი 50 დოლარი სად მიდის. მათ კი, ვინც წინა ხაზზე არაა, დღეში 50 დოლარს უხდიან. ჩემი აზრით, ეს „მოტეხილი“ თანხა უკრაინაში ემიგრირებულ „ნაცმოძრაობის“ ელიტის შენახვას ხმარდება, თან „ნაციონალები“ ასეთ სქემებში დიდი ხანი მონაწილეობდნენ და კარგად იციან, გრანტებსა და სხვა დახმარებიდან ფული როგორ „მოტეხონ“.

– გამორიცხულია, რომ ანალოგიური სქემა პანკის-სირიასთან დაკავშირებთაც მუშაობდეს?

– გამორიცხული, რა თქმა უნდა, არაფერია...

– წეღან უნდა მეკითხა და დამავიწყდა: ბატონო კოტე, ამბობთ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა უმეტესობა ჩრდილოკავკასიელია. ამ „სახელმწიფოს“ „ჯარისკაცობის“ სურვილს აზერბაიჯანელები ან სხვა მუსულმანური ერების წარმომადგენლები რატომ არ იჩენენ?

– აზერბაიჯანში ფუნდამენტალური ისლამისა და, საერთოდ, სხვა რელიგიების პროპაგანდა აკრძალულია.

– საქართველოს დღევანდელ და ყოფილ ხელისუფლებებს რა უნდა გაეკეთებინათ, რომ საქართველოში ვაჰაბიზმს ფეხი არ მოეკიდა?

– ვაჰაბიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობები იყო, მაგრამ სამწუხაროდ, მერკანტილურმა ინტერესმა იმძლავრა... სწორედ ამას მოჰყვა პანკისის პრობლემები და, სხვათა შორის, ლაფანყურის სპეცოპერაციაც. ამასობაში, პანკისის მოსახლეობაში ვაჰაბიზმი ტრადიციულ ისლამზე პოპულარული გახდა. ისე, ეს პრობლემა ჩრდილოეთკავკასიაშიც დგას, სადაც ვაჰაბიზმს უხუცესები უპირისპირდებიან. ეს დაპირისპირება კი, ძალიან სახიფათოა, რადგან უხუცესთა ავტორიტეტის ვარდნა ვაჰაბისტურ მიმდინარეობას გაამყარებს.

– ჩვენი საზღვრები ისევ დაუცველია, არა?

– დიახ.

– აბა, სასაზღვრო ჯარი თუ საზღვრის დაცვის პოლიცია რისთვის გვყავს?

– ასეთ დროს, როგორც წეღან ვთქვი, ოპერატიული მართვა ხელში თავდაცვის სამინისტროს გენშტაბმა უნდა აიღოს და ყველა ქვედანაყოფი, მათ შორის, ისიც, ვისაც საზღვრის დაცვა ევალება, გენშტაბს უნდა ემორჩილებოდეს.

– ჩვენში დარჩეს და, რამდენიმე დღის წინ, შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ განაცხადა, „ოდეერ“-ების ინსტიტუტი უნდა დარჩესო... ამასთან, ითქვა, რომ შსს-ს გაყოფა შეიძლება, გადავადდეს...

– „ოდეერ“-ების წინააღმდეგი ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი, როცა უშიშროებაში ვმუშაობდი, რადგან აგენტურულ აპარატს უფრო საიმედო ინფორმაცია შემოაქვს, ვიდრე – „ოდეერს“. „ოდეერი“ ისე დაშიფრული არაა, რომ მისი ვინაობა მხოლოდ ამა თუ იმ სამსახურის პირველმა პირმა იცოდეს. ამიტომ, მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი ძალიან დაბალია. „ოდეერი“-ს ინსტიტუტი ოფიციალური კონტროლია და მეტი არაფერი! როცა კანონით გაქვს უფლება, რომ ოპერატიული საქმიანობა აწარმოო, „ოდეერი“ საჭირო აღარაა, მაგრამ ამას რომ მიხვდე, პროფესიონალი უნდა იყო!

რაც შეეხება შსს-ს გაყოფის გადავადებას, ეს ძალიან ცუდი იქნება, რასაც ხალხი ვერ გაიგებს. როდემდე უნდა გადაიდოს? შეიძლება, ისე მოხდეს, რომ 2016 წელს „ოცნება“ უმრავლესობით ვეღარ მოვიდეს და წინასაარჩევნო დაპირებას რას უშვრება? ჯობია, შსს დროზე გაყონ! „ნაცმოძრაობის“ მიერ შექმნილი ცენტრალიზებული სისტემის დემონტაჟი აუცილებელია და თუ ამას არ გააკეთებენ, ისეთივე ავტორიტარებად ჩამოყალიბდებიან, როგორებიც „ნაციონალები“ იყვნენ!

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი

(თემის გაგრძელება იქნება)

ვერ გეტყვით, რამდენად სწორია ინფორმაცია, მაგრამ ამბობენ, რომ მათ, ვინც წინა ხაზზე იბრძვიან, წესით, დღეში 150 დოლარი უნდა გადაუხადონ, მაგრამ მხოლოდ ასს აძლევენ და არავინ იცის, თითო მებრძოლისთვის გამოყოფილი 50 დოლარი სად მიდის. მათ კი, ვინც წინა ხაზზე არაა, დღეში 50 დოლარს უხდიან. ჩემი აზრით, ეს „მოტეხილი“ თანხა უკრაინაში ემიგრირებულ „ნაცმოძრაობის“ ელიტის შენახვას ხმარდება, თან „ნაციონალები“ ასეთ სქემებში დიდი ხანი მონაწილეობდნენ და კარგად იციან, გრანტებსა და სხვა დახმარებიდან ფული როგორ „მოტეხონ“.



ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

1 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1 – 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 26 (290)

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲐᲠᲐ ᲐᲠᲐᲛᲬᲧᲝᲕᲐ

მთარგმნელი ᲔᲙᲐ ᲯᲘᲥᲘᲐ

● ● ●

არა, არა გთხოვ სიყვარულს,
ის არის საიმედო ალაგს...
გჯეროდეს, არ ვწერ
შენს სატრფოს
საეჭვიანო ბარათს.
მიიღე ბრძნული რჩევა:
მიეცი ჩემი ლექსები
და პორტრეტების ასწავლე ცქერა.
თავაზიანობენ სიძენი!
და ამ უგნურთათვის ჯერ არს
სრული გამარჯვების სჯეროდეთ,
ვიდრე მეგობრული ნათელი ბაასი
და პირველი ნაზი დღეების რწმენა.
როცა კი ბედნიერების ხურდას
გამოლევ
შენი საამო მეგობრის თანა,
გამაძღარი სულისთვის უეცრად
სუყველაფერი იქნება ავად.
ჩემს საზეიმო ღამეში
ნუ მოიქცევი, კმარა.
შენ მე არ გიცნობ,
ან კი, რითი შევიძლებ შველას?
ბედნიერებისგან კურნება
ვიცი, არ შემეძლება.

● ● ●

მე ვადღეგრძელე დარბეული ბინა
და ჩემი ავი ხვედრი,
კიდევ ორთა მარტოობა ერთად
და შენ ვერ აგიარე გვერდი, —
კიდევ მოღალატე ბაგის სიცრუის
და თვალთ სამარისებრი
სიცივის შევსვი,
ვახსენე სოფელი მწყრალი — მუხთალი
და ჩვენი ვერგადამრჩენი ღმერთი.

● ● ●

გაგიწევ, კეთილო, სამსახურს, —
ნუ დარდობ, ჩემს მწარე ტრფობას!
მე ჩვენს სამხიარულო ძმობას
აწი შევვედრებ წმინდანების სულს.
შენთვის გავწირე პირმშოობა
და სანაცვლოდ არაფერი მსურს,
ამიტომაც კონკებს და ობლობას
საქორწინე კვართივით
ვატარებ სულ.

● ● ●

მკვდრადშობილ დღეებს მე
აღარ ვითვლი,
ეპისტოლეებს მოციქულებისას გავშლი
და მეფსალმუნის სიტყვებს ვდევ კითხვით.
მაგრამ გადილურჯებენ მთიებნი ცაზე
და უფრო გამაოცებს ჩვენი შეყრა, -
ხოლო წითელი ნეკერჩხლის ფოთლით
ჩანიშნულია ქებათა ქება.

● ● ●

დაგივიწყებენ? — მე თქვენ მაოცებთ!..
მე მივიწყებდნენ უკვე ათასჯერ,
უკვე ათასჯერ მფლავდნენ, მმარხავდნენ
და შეიძლება სამარეში ვიყო აქამდეც.
მუზა დადუმდა, მუზა დაბრმავდა
და მიწას მყოფი გაიხრწნა თესლად,
რომ ფენიქსივით ფერფლიდან აღდგეს —
ცისფერ ეთერში კამარა შეკრას.

● ● ●

როგორც ყოველთვის, გაყრის დღეებში,
იმ პირველ დღეთა გვეწვია ლანდი
და შემოიჭრა ვერცხლი ტირიფის,
დიდებულებით ჭაღარა კაბის.
ჩვენ, მედიდურებს, ჩლუნგებს, უგუნურებს
თვალთ ზეაღპყრობა გვჭირდება რაში?
დაიწყო ჩიტმა გალობა ღმერთთა
— ვუფთხილდებოდით ერთმანეთს მაშინ.

ᲙᲘᲡᲚᲝᲕᲝᲓᲡᲙᲘ

აქ პუშკინის მწირობის დაიწყო ჟამი
და ლერმონტოვის დასრულდა აქ.
აქ მთის ბალახის კეთილსურნელება
იგრძნობა ქარში
და მხოლოდ ერთხელ
და მხოლოდ აქ,
ტბის პირას, სავსე ჩრდილში ჩინარის,
მიმწუხრზე სევდიან ჟამს,
ვიცანი დაუცხრომელი კვესებით თვალის
ის ერთადერთი მარადიული
სატრფო თამარის.

ᲦᲐᲚᲐᲢᲘ

არა იმიტომ, რომ სარკე გამტყდარა,
არა იმიტომ, რომ ქარი მილში ყეფს,
არა იმიტომ, რომ ფიქრებში შენზე
უკვე გაჟონა უცხო რაიმემ —
არა იმიტომ,
არა იმიტომ,
ჭიშკართან სულ სხვას
შემოვეგებე.

ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲐ

„ნუ მსტირ მე, დედაო,
მხილველი საფლავსა შინა ძისა...“

ანგელოზებმა დიდებული აქეს ჟამი,
ცეცხლში გახვეულან ცანი;
მამას ხმობს: „რაისთვის დამიტევე!“
დედას: „ჰოი, ნუ მსტირ მე“...
მაგდალინელი იღვრებოდა ცრემლად,
მოწაფე საყვარელი ქვავდებოდა ნელა;
იქით კი, სადაც მდუმარებდა დედა,
გახედვაც კი ვერვინ ვერ გაბედა.

ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐ

დუმს, ვინც შემინდო ცოდვები,
სანთლებს იისფერი მწუხრი არხევს
და მუქი ოლარი ახლა
მხრებზე და თავზე მადევს.
ნუთუ ის ხმაა კვლავ,
იტყვის: „ქალწულო! აღსდეგ...“
გული ხშირად, უფრო ხშირად ძგერდა —
ტილოს შეარხევს ხელი,
გაფანტულად რომ ჯვარს მწერს.

● ● ●

უკანასკნელად სანაპიროზე შევხვდით,
სადაც ყოველთვის ვხვდებოდით უწინ.
მაღალი იყო ნევაში წყალი
და წყალდიდობას ქალაქი უფრთხის.
ის საუბრობდა ზაფხულზე და რომ
ქალი-პოეტი — ეს სირეგვნეა.
მე ასე მახსოვს სახლები მეფის,
ციხესიმაგრე პეტრე-პავლესი! —
ჰაერი სულაც არ იყო ჩვენი
— საამო იყო, ვით მადლი ღმრთისა
და ზუსტად იმ დროს მეღირსა მაშინ
ხმა უკანასკნელ შლეგ სიმღერისა.

● ● ●

ჩვენ არ ვსვამთ ერთი სასმისით, არა,
არც წყალს და არცა ღვინოსა ტკბილს,
არც გავიღვიძებთ დილით ალერსით,
არც დავიღამებთ ერთად ფანჯრის წინ.
შენ სუნთქავ მზით და მე კი მთვარეთი,
ჩვენ ვცოცხლობთ მხოლოდ ტრფობით ასეთით.
მე ნაზი, ერთგული მეგობარი მყავს,
შენ კი მხიარული რჩეული გახლავს,
მაინც რუხი თვალების კრთომა მაწვალებს
და შენ ხარ, იცოდე, ჩემი ტანჯვა.
მოკლე შეხვედრებს ჩვენ არ ვახშირებთ.
— ასე უნდა, თურმე, სიმშვიდეს დაცვა.
შენი ხმა ჩემს ლექსებში მღერის
და ჩემი სუნთქვა შენს ლექსებს ახლავს.
ანთია ჩვენში კოცონი ძველი
მას ვერც დავიწყება, ვერც შიში მარხავს.
ო, რა საამოა ჩემთვის ახლა
შენი მშრალი და ვარდისფერი ბაგის ნახვა.



ᲞᲣᲜᲯᲘ ᲐᲠᲐᲛᲬᲧᲝᲕᲐᲜᲘ

მთარგმნელი ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲣᲚᲔᲣᲠᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ

ორი გოგო გეორგინებს ყრიდა გზაზე,
შიგადაშიგ, გამოზოგვით ერთობ
და ქალები საუბრობდნენ დაბალ ხმაზე:
— ყვავილები რა ძვირია — ღმერთო...
დაძაბული, ძრწოლით, შიშით სავსე ქუჩა
წინ მიმავალ ორ გოგონას უმზერს,
რა საზარლად ფერმკრთალი და თეთრი მოჩანს
ორი ხელი, დაკრეფილი გულზე.
თან მოჰქონდათ გვირგვინები მძიმე ტვირთად,
მოხუცებს კი გამყოლები ახლდათ.
ყველაფერი, აგროვებდნენ რასაც მზითვად,
გვირგვინებად გადაიქცა ახლა.
გაიმართა ქელეხი და მხოლოდ მაშინ
გამოცოცხლდა, ახმაურდა ხალხი,
ხოლო ქალებს ცრემლი ედგათ ისევ თვალში
და ღაწვებზე დაჰფენოდათ თალხი.
მაგრამ სვამდნენ, სვამდნენ ჭიქით, ფინჯნით, თასით —
მწუხარებას იქარვებდნენ ოდნავ,
მერე დიდხანს ჭაჭის სუნი იდგა გზაზე,
სიხალისე ხმებსაც შერეოდა.
ჭირ-ვარამის ჯიბრით უკვე მაღალ ხმაზე
სურდათ სულ სხვა სიმღერები ეთქვათ...
დიდი ხნის წინ, მიაბარეს მიწას ასე
ერთი გოგო, გიული რომ ერქვა.

● ● ●

უკვე მერამდენე წელია, ჩემს ქუჩაზე
ხმა ისმის ნაბიჯების — მტოვებენ მეგობრები.
წყვდიადში ფანჯრებს მიღმა ნელი სვლით მშორდებიან,
აჩრდილად ილანდება სარკმელში მოგონება.
დარჩათ ბევრი საქმე, ახლა მათ სახლებში
არ ისმის მუსიკის ხმა, არ ისმის სიმღერები,
მხოლოდ, ძველებურად, დეგას გოგონები
ცისფერი ბუმბულებით მორთულ ყელს იღერებენ.
რაღა გაეწყობა, ნუღარ შეგაშფოთებთ
ასე უმწეოებს შიში ღამეული.
ჩემო მეგობრებო, უფრო გებინდებათ
მზერა, ღალატით და შიშით არეული.
როგორი სასტიკი და მკაცრი ხარ, მარტოობავ!
ცივად გაიელვებს ლითონის ფარგალი და
წრეს კრავ, ყველაფერი ახლა ამაოა,
შენთან მუდარა და თხოვნა არ გავიდა.
მაშ, შენს ნებიერას, შენგან მოალერსეს,
ჯილდო მარგუნე და რამით მანუგეშე!
დარდებს გავიქარვებ, მკერდს რომ მოგეყრდნობი,
მერე რა, რომ სუსხი მხვდება შენს უბეში.
ნება მომეცი, რომ უხმოდ, ფეხაკრეფით
შენს ტყეში ვიარო და ხმელი ფოთლები
ნელა მოვაგროვო, სახე ჩავმალო და
როგორც ნეტარება, შევიგრძნო ობლობა.
მიბოძე მდუმარება შენი წიგნთსაცავის,
შენი კონცერტების მკაცრი მოტივები
და მე დავივიწყებ ყველას, ვინც კი მოკვდა,
მათაც, ვინც დღემდეა მათზე მოტირლები.
შევიცნობ სიბრძნესა და სევდა-მწუხარებას,
საგნები გამანდობენ აზრებს, რაც მათშია,
ბუნება, დამეყრდნობა მხრებზე, ხელებს მომხვევს
და გამიზიარებს საკუთარ ხვაშიადს.
და მაშინ — ცრემლებიდან, წარსულის წყვდიადიდან,
რაღაც უეცარი ელდა მოვარდება.
ჩემი მეგობრების ნაკვთები მშვენიერი
ჩნდება და კვლავ ზავდება, როგორც მოლანდება.

6 № 26 (290) 1 – 7 ივლისი 2015

ქართული ენა

ლიტერატურა. ზეპირსიტყვიერება. ჟურნალისტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

უსახელო სადღეგრძელო

თემურ (ცანცქლი) ხუჯაძე



დადგა 2001 წელი, შავი ცხენის წელი. შავი ცხენი შესამჩნევად განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. ის იქცევა ისე, როგორც თვითონ სურს, უფრო სწორად, ამას სიამოვნებით გააკეთებდა, თუ გარემოც შეუწყობდა ხელს. მარტო გარემო? არა – წლებიც. წლები ხომ აბერებს ყველა ცოცხალ არსებას: ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს და, რა თქმა უნდა, ადამიანებსაც. ჰოდა, ეტყობა არც მე შემიწყო ხელი წლებმა და ერთ მშვენიერ, ლამაზ, მზიან დღეს უცნობი მამაკაცი გამომეცხადა მიქელას სახელით და უცერემონიოდ, მაგრამ სევდიანად მითხრა: შენ ჭკვიანი კაცი ხარ და კარგად მოგეხსენება, რომ ყველაფერ დასაწყისს თავისი დასასრული აქვს. ამიტომ ახლა იქ, ახალ ქვეყანაში გელოდებიან, ნათელშიო.

მზერა ზეცისკენ მივმართე. ნათქვამი იმდენად კონკრეტული და გადაწყვეტილი მეჩვენა, დაფიქრებამაც კი აზრი დაკარგა. მართლაც და, ვინ აცდენია ამ გზას, რომ გამონაკლისი მე ვყოფილიყავი? ადამიანი ხომ, აზრის მოსვლის დღიდან, მთელი ცხოვრება ამ გზაზე ფიქრობს და თუ სწორად აქვს ნაფიქრი, მის მიერ გავლილი ეს გზაც სწორი და ნათელი იქნება, რა თქმა უნდა, თავისი წარმატებებითა და წარუმატებლობით, შეცდომებითა და შეუმცდარობით.

ჩემი ხნის კაცისთვის ამ ქვეყნიდან წასვლის წინადადება მოულოდნელი არ ყოფილა, ამიტომ, ზედმეტად დამაჯერებელი სიმშვიდით შევხვდი, მით უმეტეს, ჰაერში ფრენა ჯერ კიდევ ბავშვობის სიზმრებში ვისწავლე. ო, რა კარგია სუფთა ჰაერზე ცაში ნავარდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა იცი, რომ იქ შენი საყვარელი ადამიანები – დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ნათესავები და მეგობრები გელოდებიან. აუ, რამდენი ხანია არ მინახავს ისინი. როგორ მომენატრნენ.

დაღლილ-დაქანცული და წლებისაგან დამძიმებული, ვატყობდი, ისეთ ფრენას ვერ შევძლებდი, როგორც იმ დროის სიზმრებში. არადა, ჩემი წილი ტვირთისგან ხომ უნდა გამეთავისუფლებინა დედამიწა?!

ბევრი არც მიფიქრია, დავავლე ხელი ბაბუაჩემი „ლევანიჩის“ მიერ საგულდაგულოდ შეკრულ საცალფეხო კიბეს, მივაბჯინე ცის მარჯვენა კედელს და ფრთხილად, ციმციმ ავუყევი იმ ქვეყნად მიმავალ გზას – მაღლა, ღრუბლებში, თუმცა გზაში რაღაც მწარე ფიქრი ამეკვიატა, ფიქრი იმისა, თითქოს ქვევით რაღაც მრჩებოდა ძვირფასი, სანატრელი. შევჩერდი და უკან მოვიხედე... მოვიხედე და დავინახე ჩემგან ობლად მიტოვებული ცხოვრების ვებერთელა სიყვარული, ჩემი დიდი ოჯახი – დახუნძლული შვილებითა და შვილიშვილებით. და კიდევ... სიცოცხლის უდიდესი საოცრება – ახალშობილი, კიდევ ერთი შვილიშვილი, რომელიც არნახული სიამოვნებით შეექცეოდა დედის ძუძუდან გამოწოვილ თბილ რძეს და ამავდროულად, სუფთა და მოღიმარი თვალებით შემომციცინებდა.

იმ წუთას ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ მეგულებოდა მთელ დედამიწაზე, რადგან ადამიანთა მოდგმის კიდევ ერთ ჯიშსა და ჯილაგს ვტოვებდი იმ იმედით, რომ კიდევაც დაიზრდებოდნენ შემდეგნი, მრავალნი ქართველნი. ამინ, ამინ, ამინ!

კიდევ, კიდევ მრჩება რაღაც, მაგრამ ვერ ვიხსენებ. თვალებს აქეთ-იქეთ ვაცეცებ, ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ვამჩნევ. ღმერთო, მიშველე! – წამოვიძახე უნებლიედ. თითქოს განგებამ მისმინა. თვალებიდან ბინდი მომეხსნა და ჩემს წინ ვიღაცის სილუეტი აღიმართა, მერე, იქედან ბავშვი გამოკრთა, შემდეგ, ქალად გარდაისახა. პირველად „კურნოსა“ ცხვირი შევამჩნიე. ჰო, ის მარიამი იყო, ჩემი „მარიკო“ – ასე ვეძახდი იმერული მოქცეულით ჩემს მეუღლეს. ეს ის ქალია, თავისი აპრეხილი ცხვირის წყალობით, ცხვირჩამოშვებული რომ არავის უნახავს. მისი სხეულიდან ჩემსკენ ბავშვობა მორბოდა, მისი უდიდებულესობა – ბავშვობა.

დიახ, ეს ის ბავშვი იყო, მუდამ მომღიმარი, მოსიყვარულე და ერთგული, მერე რომ დაქალდა და მთელი ცხოვრება ერთად გავატარეთ, თავიდან რომ ორნი ვიყავით და მერე, ბევრნი გავხდით, იმდენად ბევრნი, რომ ჩვენი ადგილი თითქოს არსად იყო.

იმ წუთას მისი ცრემლიანი თვალები ბევრს მეუბნებოდა: „ხომ არ დაგავიწყდი, უჩემოდ სად მიდიხარ, მარტო არ დამტოვო, ჩვენ ხომ მთელი ცხოვრება ერთად ვიყავით და თუ წასვლაა, მეც წამიყვანე, იქაც ერთად ვიყოთ“.

რა მეპასუხა, არ ვიცოდი. იშვიათად მინახავს მის სახეზე ცრემლი, ამიტომ მთელ სხეულში მზარავდა და მცრიდა, მაგრამ ხომ უნდა მეთქვა რაღაც სანუგეშო, მართალი და დამაჯერებელი.

ძალა მოვიკრიბე და თვალებითვე ვუპასუხე: „შენთვის ჯერ ადრეა ამ ქვეყნიდან წასვლა, თანაც ხომ ხედავ, ეს საცალფეხო კიბეა, ორნი ვერ დავეტევით, ახლა, უბრალოდ, ჩემი ჯერია და მარტო წავალ, ჩვენ კი, სხვა დროს შევხვდებით, დღეს მანდ უფრო ხარ საჭირო, დამიჯერე!“

დამიჯერა, მაგრამ... დამიჯერა კი?

ის იყო, დასამშვიდობებლად ხელის აწევას ვაპირებდი, რომ ქვევით ღვინის მარანი შევნიშნე, სხვადასხვა ფერის ღვინოებით გამოჭედილი მარანი. ასეთი ცელქი და მოუსვენარი ღვინოები ჯერ არსად მენახა. ის ციცქა და ცოლიკაური მთლად გაგიჟდა და გადაირია. თვალებით მჭამდნენ, გინდა თუ არა, დამლიეო, ნუთუ, უდღეგრძელებელი წახვალ, მანდ, ზემოთ რას იტყვიან, არ შეგვარცხვინო, თუ ძმა ხარ, სად გეჩქარება და თუ მაინცდამაინც გეჩქარება, მაშინ, შე კაი კაცო, წამსვლელ-დამრჩენთა სადღეგრძელოს თქმას წინ რა უდგასო.

წინადადება ნამეტანი მაცდური, მაგრამ აუცილებლად მისაღები იყო. უნებლიედ ზემოთ ავიხედე, უამრავი ადამიანი მელოდა, მათ შორის – ორი გამორჩეული: დედაჩემი და მამაჩემი. გამახსენდა, ისინი მაშინაც მელოდნენ, როცა შაბათისთვის სუფრის გაშლა ვთხოვე, ჩემი მეგობრები მოვლენ-მეთქი. ამის შემდეგ, რამდენიმე დღე „დავიკარგე“ და ზუსტად შაბათს „გამოვცხადდი“ ჩემი სტუმრებიანად. შინ არნახული პურ-მარილით გაწყობილი მაგიდა დამხვდა. ჩემთვის საყვედური არავის უთქვამს. შემრცხვა, მაგრამ ცოტა გვიან... ასე, ათი-თორმეტი წლის მერე, როცა ცოტა დავსერიოზულდი...

ეჰ, ახალგაზრდობავ, ჭაბუკობავ, ბავშვობავ. რა ჩქარა გაფრენილხარ, უკანმოუხედავად, ასე უფრთოდ და უნისკარტოდ. თუ იცი მაინც, სად გეჩქარებოდა, სად?!

დედაჩემი ზემოდან დამცქეროდა, თვალს არ მაშორებდა და მერე, განსაკუთრებული სიდარბაისლით ხმადაბლა ჩამომძახა: „მიდი, შვილო, ნუ დაწყვეტ ქვემოთ გულს, ერთი სადღეგრძელო დალიე და მერე ამოდი“.

ჩემი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, ერთი სადღეგრძელო ძალიან ცოტა მეჩვენა. ვიფიქრე, ნუთუ, აქ ყოფნას ერთი დღით მაინც არ გამიგრძელებს ბატონი მიქელა-მეთქი და ზემოთ ავიხედე. მიქელა არ ჩანდა. ჯანდაბას, არ მინდა ერთი დღე, ერთ საათსაც დავჯერდები. მიქელა კიდევ არ ჩანს. ათჯერ ჯანდაბა და ათ წუთსაც ვიმყოფინებ, მაგრამ სად არის მიქელა?

„მიქელა გასულიაო“, – თქვეს...

გულდაწყვეტილმა ზემოთ ავძახე: კარგი, მართლაც, ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი და მალე ამოვალ-მეთქი. „შენი მალე კი ვიცი, რამდენია, მაგრამ იქნებ, შაბათამდე მოგესწროო“, ღიმილით და ჩვეული იუმორით ჩამომძახა მამაჩემმა, ყოველგვარი ირონიის გარეშე. შემრცხვა...

მარიამს უკვე შევსებული ჰქონდა ორი სასმისი. ერთი გაზაფხულის მახარობელ მერცხალს გამოატანა ჩემთან, კიბის ბოლო საფეხურზე, მეორე კი, თვითონ დაიტოვა.

უბიდან ფურცელი ამოვიღე, სადღეგრძელო ლექსად ვაქციე და იმავე მერცხალს ჩემს სიყვარულთან, მარიკოსთან გავატანე თხოვნით, რომ ხმამაღლა წაეკითხა.

მარიამმა ნაწერს გადახედა და გაკვირვებულმა ამომძახა, ეს სადღეგრძელო უსახელოა და როგორ ვთქვაო.

– ჰო, ვიცი რომ უსახელოა, მას სახელი არ აქვს და არც ექნება. როგორც უსახელო სადღეგრძელო, ისე წაიკითხე-მეთქი, – ჩამოვძახე.

კიდევ ერთხელ დახედა ხელნაწერს... მერე, ამომხედა და თვალებით მითხრა, ამ ნაწერს დავიტოვებ და შენი დაწერილი იქნებ, შენვე წაიკითხოო.

სხვა რაღა დამრჩენოდა. ჩემივე შექმნილი „უსახელო სადღეგრძელო“ უნდა ვთქვა. ძალა მოვიკრიბე და ღრუბლებს ქვემოთა და ღრუბლებს ზემოთ მყარად მდგარი ორი ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა წარმოვთქვი:

თითქოს მხიარული, თითქოს სევდიანი,
ვიღაც მეკითხება რა გინდა?
გეყო აღმა-დაღმა გზებზე ხეტიალი,
მერე წამოდგა და წავიდა.
შავ ცხენს ეტლით მიაქვს დრონი გარდასული,
ნუთუ ამდენი კი გავიდა?
წლებით დახუნძლული, კაცი დაღალული,
კიბით მაღლა ცაში ავიდა.
ქალი შემომცქერის გრძელნაწნავიანი,
ვეღარ გავიხსენე საიდან,
მომეცით გიტარა, გიტარა ბანტიანი
სიმღერა მინდა და... არც მინდა.
იმ ქალში ლამაზი, კოხტა, ხალიანი,
იმ ქალში ბავშვი არი, არი და...
ხმამაღლა ვჩურჩულებ ბავშვის ლანდი არი,
ბავშვობა მობრძანდა თავიდან.
სად არის არღანი, ოცდაექვსიანი,
ღვინო თვალებით მჭამს მარნიდან,
ქეიფი მოსულა, ჩემი ჯერი არი,
ერთსაც შევუბერავ და... ჰაიდა!

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

1 – 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 26 (290)

7

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ᲙᲝᲜᲘ ᲭᲘᲥᲣᲠᲫᲔ

●

რომ დავიღლები და ბევრ რამეზე ხელს ჩავიქნევ,
გამახსენდება,
რომ მაქვს რვეული
და მაქვს კალამი...
გამახსენდება და ისეთი ბედნიერი ვარ,
როგორც დელგმაში გზადაკარგული
გამოქვაბულთან.

●

მე თანდათან, ნაწილ-ნაწილ მტოვებს ყმაწვილქალობა
და ყველა წუთი მოწიწკნილი თმის ღერივით მტკივა:
მიდის ჩემგან ბოლომდე ამოუცნობი სამყარო,
თანდათან დაცლილს კი მავსებს ქალობის უსასრულობა
და თითქოს ჩემი იარების დაამებას ცდილობს.
...ახლა ქალობისფერი ზღვის მოქცევის დროა!

●

მე ვწერ ბარათებს,
ჩემი სიკვდილის შემდეგ რომ წააწყდეთ,
გამჭოროთ — კიდევ ერთხელ გაიხალისოთ
და არ იცოდეთ, კიდევ ერთხელ:
ისე გულწრფელად განცდილი
და ნათქვამია ეს ყველაფერი,
როგორც მზის სხივებს განიცდის ხოლმე
მინდვრის ყვავილი,
ამოდის
და ამბობს თავისას...

●

იქნება სიჩუმე და შენი სითბოს ნაალაგარი.
ვიქნები მე და იქნება ფიქრები,
მერე შენ მოხვალ
შენი სითბოს ნაალაგარზე კოცონის დასანთებად,
მე კი დაგახვედრებ შეხვეულ ნაღვერდალს...
ვიქნებით ჩვენ და ცეცხლი
და იქნება ოჯახი.

●

მე და შენ ცა და დედამიწა ვართ:
შენ ნივთიერი, კონკრეტული, თბილი და მყარი,
მე კი სივრცე ვარ,
უსასრულოდ ღრმა და მაღალი,
გამჭვირვალე და,
მიწასთან შედარებით,
ბევრად მსუბუქი.
მე და შენ ისე შორ-შორსა ვართ ერთმანეთისგან,
როგორ ცა და დედამიწა არიან შორი:
შენ მძიმე ხარ საიმისოდ, რომ ამოხვიდე,
სამაგიეროდ, მე ვერა ვარ კუშტად შეკრული
და მთელ სხეულზე გეფერები ისე მსუბუქად,
ვერავინ ხედავს ჩვენს სიახლოვეს
და შენ თვითონაც შორი გგონივარ.
გესაუბრები მზის ამოსვლით,
დაისით და მთვარის ზღაპრებით,
ვარსკვლავებით გეჭიკჭიკები,
მიწიერთ კი არ იციან,
ან არ უნდათ, იმის თქმა,
რომ ჩემი მზის პასუხია შენი ჯეჯილი.
ღმერთმა კი იცის, ერთნი რომ ვართ
ასე საოცრად შორეულნი და სხვანაირნი...

●

ხომ იცი, ჩემო კარგო, უთოვლო ზამთარი,
უმზეო ზაფხულიც, ხომ იცი, რაც არი?
რა უბადრუკია,
თან რა უფერია,
ქარებს აყოლილი
და გადაყოლილი
დაღლილი დღე როა.
ისე დაღლილია
და თან უფერული დღეს ჩემი სამყარო.
სარკმელის მინაზე კბილებს აკაწკაწებს,
რომ ვერ გვაქათქათებს უთოვლო ზამთარი,
რაიც შენც გინდა და რაიც სხვასაც უნდა,
ღმერთსაც თუ არ უნდა,
ხომ იცი, რაც არი?
ეს გული შემომწყრა,
ვით მინას — ზამთარი,
გულის შემოწყრომაც
ხომ იცი, რაც არი?

●

მინდა, მზე ვიყო
და სხივებით მოგეალერსო,
ჩამოგხედო თვალების ზღვაში,
შენი ნოტიო,
ხალასი
და მღვრიე არსება გავითავისო.
მინდა, გავაპო ამ ღრუბლების მკაცრი სიშავე
და დავანახო ქვეყნიერებას,
როგორ ვიწვი დაუსრულებლად...

●

როგორც ფუტკარი სკას,
ფიქრი მეხვევა ისე,
ვიგონებ რას და რას,
მე რომ არ მინდა, ისეთს.
მინდა, გიამბო შენ,
არა — სხვასა და სხვას,
ვოცნებობ, როდის მომიხვალ,
როდის გადმოხვალ მთას...
ხვალე, ხვალე და ხვალისხვალ,
ჩამოთავდება კიბეც,
ფიქრები, როგორც ფუტკრები,
სკას ამივსებენ კიდეც,
მივდგები დასალიერსა
ნაფიქრით — სავსე ფიჭით:
მიყვარდა, მენატრებოდა,
ჩემთან არ იყო ბიჭი!

●

ისევ იგივე ქუჩა,
ისევ იგივე ტბა,
იქვეა ძველი სახლიც,
ადამიანი — სხვა.
ძველ ნაფეხურებს ხედავ,
ძველი ტკივილი გკლავს
და მაინც —
ძველი ქუჩა,
ადამიანი — სხვა.
ფიქრმა წაგლეკოს ლამის,
გინდა, გაექცე „მე“-ს,
ის წუთი ახსოვს, თუნდაც,
ამ აყვავებულ ხეს...
განახლებული დარდი
და უშფოთველი ტბა,
ყველაფერია ძველი,
ადამიანი — სხვა.

●

ამიერიდან ყველა წყვილს უბოროტო შურით
შევხედავ

და მეტკინება შენი სიშორე:
ისე ხშირად ვიქნები მარტო,
როგორც ნაძვისხის სათამაშო
ახალი წლიდან ახალ წლამდე,
ხელის შეხების ნატრული
და მომლოდინე.

●

გადავთვლი კენჭებს —
ამ გაქვავებულ სილამაზეებს
და დავრწმუნდები,
რომ არც ერთის გადაგდება
არ შემიძლია!
როგორც მაშინ,
ყურს მივუგდებ მზის სიმფონიას,
ჩავუთქვამ სურვილს,
რომელიც ჩემი და ზღვის საიდუმლოა
და ვერ ვიპოვნი,
კიდევ ერთხელ,
ქვას ჭუჭრუტანით,
საიდანაც იმედი მოჩანს!
აბობოქრდება ლურჯი რაში, აიყრის ფაფარს,
უხვად მომაყრის
გაქვავებული სილამაზის და სურვილის გროვებს
და ვიფიქრებ,
რომ ეს არის მილიარდი ქვადქცეული საიდუმლო,
ხოლო ზღვა ჭორიკანაა
და არც ისეთი გულმოწყალე,
ასე ადვილად გაპოვნინოს ქვა ჭუჭრუტანით!

●

და კიდევ ერთხელ დავიჯერებ,
რომ სასწაულს ჰქვია თვალები,
რასაც ყველა რითმისა და
პოეტური წესის ჯინაზე,
არ გავურითმავ ისეთ ბანალურ ფრაზას,
როგორიცაა
„მე შენ ვერსად დამემალები“.
მე ხომ ვიცი, ძალიან კარგად,
რაც არ უნდა მარჯვე იყო წინათგრძნობაში,
მაინც ვერასდროს იტყვი ზუსტად,
რას ამბობენ ცხოვრების წათხში გამოყვანილი,
მაგრამ მაინც ჯიუტად გაუწვრთნელი მეციხოვნენი,
რომელთაც შეუძლიათ, ერთი თბილი ღიმილის ფასად,
უბრძოლველად ჩაგაბარონ საუნჯე,
რომლის დაცვასაც ეს თვალები
უმწეოდ და უშედეგოდ,
მაგრამ ცდილობენ!
მე ასეთი საუნჯეები მოვაგროვე
და გავიგე,
რომ არ არსებობს ქვეყნად
ორი მსგავსი საიდუმლო,
თუმცა, ზოგადად,
ყველას ერთი სახელი ჰქვია!

●

მკვდარივით ახლო და შორეული
მოგონების ერთი ნაგლეჯი:
ჩიტის ერთი გადაფრენით ამტყდარი ზვავი,
რომელმაც წაგიღო
და მიგახეთქა
ხეობის ყველაზე ბასრსა და ულმობელ კლდეებს,
შენთან ერთად დაიფითრა სხეული
და წევს ახლა „მშვიდ“ სარეცელზე,
რომელსაც,
როგორც უფსკრულს ზვავი,
ავსებს
ცოდვით მძიმე
ცივი ზვინივით.
და თუმცა,
იქნებ, ააყვავილოს ედელვაისიც,
მაინც სასაფლაოა...
მზის ამოსვლა კი გამოაჩენს უფსკრულის ხახას,
სადაც უხვად ჩაიღვრება
თავის დროზე ვერატირებული ქალის ცრემლები,
რომელიც უკვე მიხვდა,
რომ მის უფსკრულს მხოლოდ ზვავმა გადაუარა
და არა — სიყვარულის დიდმა გრიგალმა,
თავად გრიგალი კი,
დააწყდება მთის მწვერვალებზე
და მრავალტანჯული სულის შეწყალებას
ევედრება ედელვაისებს,
რომლებიც მხოლოდ ღმერთმა იცის,
სიცივეში როგორ ჩნდებიან...
...მოვიდა ჩემთან შობის ღამესავით ცივი,
მკვდარივით ახლო და შორეული
მოგონების ერთი ნაგლეჯი,
რომელიც ასე იკითხება:
„გარდაიცვალა სიყვარული“...

ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲐ ᲭᲘᲥᲣᲠᲫᲔ-ᲛᲘᲯᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ფიქრები — ცაზე გაწოლილი შავი ღრუბელი
გულის ფსკერიდან ცხარე ცრემლით დანაბადია.
ფიქრები ქარით აწეწილი, გადაუბმელი,
შავი ფერებით მომიხატავს მალე განთიადს.
როგორღა შევხვდე ალიონს, ტურფა ქალბატონს?
ან გაუსაძლის ტკივილს ახლა ვინ დამიჩუმებს?
გაყურებ მზერაარეული და ცის კაბადონს
გადასწოლია სიკვდილი და მძიმე სიჩუმე.
მომძახის ვიღაც: აწ გზა შენი არ გაგახარებს,
ვერ ეღირსები გაღიმებას ამ მიწის, ამ ცის...
ვხედავ გოლგოთას... ადევნებულ ბრბოს მოხარხარეს,
დღე დგება კუშტი სიკვდილის და დღე დგება ჯვარცმის.
ცხრა სიცოცხლე და ცხრა სიკვდილი გამოვიარე,
იმ გლოვის დღეებს კვლავ ვიხსენებ სიკვდილთან მდგომი.
არავინ შემრჩა, აღარავინ მყავს მოზიარე,
სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გრძელდება ომი.

ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ!

ძვირფასო, ჩემო, ვეღარ მიგიხვდი,
ვეღარ გავუგე ტკივილს მანამდე,
ვიდრე ცრემლები არ შეგამჩნიე,
უსაზღვრო ტკივილს რომ მიმალავდნენ...
რომ მიმალავდნენ უხმო კაეშანს,
უსიტყვო გლოვას, ცრემლთა იმ მძივებს,
რომ ატარებდი სამყაროსავით
განუზომელ და გულქვა სიმძიმეს.

ქართული სიტყვა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ენალიჭნება. ჟურნალისტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

განათლება

განათლების მინისტრის N576 ბრძანება, რომლითაც პედაგოგებს ფულს „აცლიან“

დიდი ხანია ვიცით, ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლებს რომ არ აფასებენ – განათლების სფეროში, დაბალი ანაზღაურების გარდა, სხვა ბევრი პრობლემაცაა. უსიამოვნებაში თბილისის 23-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი, ნინო გაჩეჩილაძეც გაეხვა – ჯანდაცვის მინისტრის N87/ნ და განათლების მინისტრის N576 ბრძანებების გამოისობით, ქალბატონ ნინოს, რომელიც ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სკოლაში 10 დღე ვერ დადიოდა, ჯამაგირიდან 60 ლარი დაექვითა. ბიულეტინის წარდგენის მიუხედავად, განათლების სამინისტრო უკან დახევას არ აპირებს და ზემოხსენებულ ბრძანებულებას ჯიუტად იშველიებს.

რა ცვლილებები შედის სექტემბრიდან მასწავლებელთა დანამატის გაცემის წესში და რას დაჰპირდა თამარ სანიკიძე განათლების პროფკავშირებს

ნინო გაჩეჩილაძე: – წელს პირველი კლასი მყავდა, რომელიც სწავლას 15 ივნისს ამთავრებდა. სამწუხაროდ, მთელი წლის განმავლობაში, ცუდად ვიყავი – ართრიტი მქონდა... მოკლედ, სასწავლო წელი დავამთავრეთ, ყველა საქმე გაკეთებული მქონდა – წიგნები ჩავიბარე, ჟურნალი და სხვა დოკუმენტაციაც წესრიგში იყო... აუცილებლად უნდა გამეკეთებინა ოპერაცია. ამიტომ ბიულეტინი ავიღე და სკოლიდან 10 დღით გავთავისუფლდი.

– თუკი სწავლა დაამთავრეთ, სკოლაში 15 ივნისის მერეც უნდა გევლოთ?

– დიახ, რადგან სკოლა ოფიციალურად 15 ივლისამდე მუშაობს, მაგრამ კლასი უკვე გავუშვი და საქმე არაფერი მაქვს – მივდივარ და, უბრალოდ, ხელს ვაწერ. გარდა ამისა, სკოლას ბიულეტინიც ჩავაბარე.

მიზეზი, რის გამოც ოპერაციის გაკეთება 15 ივლისამდე გადავწყვიტე, ისაა, რომ ზაფხულის ცხელ დღეებში ამ სახის სამედიცინო ჩარევა რეკომენდირებული არაა...

– ესე იგი, სამსახური უმიზეზოდ არ გაგიცდენიათ?

– ბიულეტინი, აღებისთანავე, სკოლას ჩავაბარე. სამედიცინო პროცედურებისთვის 300 ლარი მჭირდებოდა და ეს ფული ვისესხე, ხელფასის აღების შემდეგ, ვალი გავისტუმრე და 60 ლარი დამრჩა. ამ თანხით, განმეორებითი ანალიზები უნდა გავიკეთო...

– ქალბატონო ნინო, ხელფასის ნაწილი რა მიზეზით დაგიკავეს?

– ბიულეტინი მქონდა, თუმცა მიუხედავად ამისა, არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც, დროებით შრომისუუნარო მასწავლებელს დანამატი, რომლის რაოდენობაც, ალბათ, გაცდენილი დღეების პირდაპირპროპორციულია, ექვითება. ხელზე 440 ლარი უნდა ამეღო, მაგრამ 58 ლარი დამიქვითეს. ამის შემდეგ რესურს-ცენტრში წავედი, თუმცა იქაც მითხრეს, რომ დაქვითვების შესახებ ზემოხსენებული ბრძანებულება ჯანდაცვის სამინისტრომ კვიტაშვილის მინისტრობის დროს გამოსცა.

– ასეთი შემთხვევა სხვა დროსაც ყოფილა?

– დიახ...

ბიულეტინის ჩაბარების მიუხედავად, 58 ლარი მაინც გექვითება. როგორც ჩანს, ყველა პროცედურა კანონიერია და ეს თანხა უნდა ჩამომჭროდა, მაგრამ მორალური მხარე ხომ უნდა იყოს გათვალისწინებული, ან კანონი გადაიხედოს, ან რაღაც მოიმოქმედონ? ასეთი სიტუაცია სხვა სტრუქტურებში არაა. ყველასთან, ვინც ეს ბრძანება გამოსცა და სისრულეში მოიყვანა, შეკითხვა მაქვს:

სერტიფიცირების ფული ჩემი შრომით მოვიპოვე და ამ თანხას დანამატად რატომ თვლიან? ჩემი სერტიფიცირება და განათლების დონე ჩემს ჯანმრთელობასთან რა კავშირშია?

– სერტიფიცირებული რომ არ იყოთ, ეს თანხა არ დაგექვითებოდათ?

– ეს მეც მაინტერესებს... ბრძანებაში წერია, რომ თანხა სადამრიგებლოსა და სერტიფიცირებას აკლდება. თუ არც დამრიგებელი ვარ და არც – სერტიფიცირებული, ესე იგი, პრობლემა არ შემექმნება?

დიდუბე-ჩუღურეთის მასწავლებელთა პროფკავშირების თავმჯდომარესთან, ქალბატონ თამარ ბარისაშვილთან ვიყავი, რომელმაც მითხრა, რომ სკოლის დირექცია კანონიერად მოიქცა. მისივე თქმით, ეს ბრძანება კვიტაშვილის დროს გამოიცა და ახალმა მთავრობამ აღარ გადახედა. არადა, ამ ეტაპზე ჩემთვის ყველა თეთრი მნიშვნელოვანია.

– როცა ეს ბრძანებულება გამოიცა, პროფკავშირმა რატომ არ გააპროტესტა?

– მითხრეს, რომ თამარ სანიკიძეს ესაუბრნენ და, როგორც განათლების მინისტრს უთქვამს, ყველაფერი სექტემბრიდან გამოსწორდება და „დანამატები“ ხელფასს მიუერთდება. ამ ბრძანებებით ძალიან ბევრი პედაგოგი დაზარალდა... თამარ ბარისაშვილმა ისიც მითხრა, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელია დამსაქმებლისგან ერთჯერადი დახმარების მიღება. ესე იგი, შემიძლია, დახმარება ვთხოვო სკოლას, დავწერე განცხადება, ჩავაბარე და ვნახოთ, რა იქნება...

N576 ბრძანებულებაზე „ქართულმა სიტყვამ“ განათლების სამინისტროს რამდენიმე შეკითხვით მიმართა:

1. რატომ არ გადაიხედა აქამდე ეს ბრძანება და რატომ არ რეაგირებდით იმ ფაქტზე, რომ პედაგოგებს, შრომისუუნარობის პერიოდში, სერტიფიცირებისა და სადამრიგებლო კლასის თანხა ექვითებოდათ?

2. როდის გადაიხედება არსებული ბრძანება?

„დასაქმებულის „ავადმყოფობის ფურცელზე“ ყოფნის პერიოდში, ანაზღაურების საკითხი რეგულირდება ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N576 ბრძანებით, დამატებით რეგულირებას აღარ საჭიროებს“, – აცხადებენ განათლების სამინისტროში.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, ანუ გადაიხედება თუ არა ზემოხსენებული ბრძანება, განათლების სამინისტროსგან „ქართულმა სიტყვამ“ პასუხი ვერ მიიღო.

როგორც ჩანს, პრობლემა ისევ პრობლემად დარჩება...

დავით გალაშვილი

> **„ბიულეტინის ჩაბარების მიუხედავად, 58 ლარი მაინც გექვითება. როგორც ჩანს, ყველა პროცედურა კანონიერია და ეს თანხა უნდა ჩამომჭროდა, მაგრამ მორალური მხარე ხომ უნდა იყოს გათვალისწინებული, ან კანონი გადაიხედოს, ან რაღაც მოიმოქმედონ? ასეთი სიტუაცია სხვა სტრუქტურებში არაა. ყველასთან, ვინც ეს ბრძანება გამოსცა და სისრულეში მოიყვანა, შეკითხვა მაქვს: სერტიფიცირების ფული ჩემი შრომით მოვიპოვე და ამ თანხას დანამატად რატომ თვლიან? ჩემი სერტიფიცირება და განათლების დონე ჩემს ჯანმრთელობასთან რა კავშირშია?“**

პრობლემა

არქიმანდრიტი დემეტრე: „ოცეულის“ წევრებმა ეკლესიის კონტროლი დაიწყეს!“

ერთ დროს ამაყი და ძლიერი სახელმწიფო არსებობისთვის იბრძვის. საქართველოს ტერიტორიული პრობლემები 21-ე საუკუნეშიც აქვს და... მხოლოდ ისტორიის წიგნებიდან ვიცით, რომ საინგილო, ტაო-კლარჯეთი თუ ლორე ჩვენი მიწა იყო. ჩვენს ისტორიულ ტერიტორიებზე ქართული კვალი ჯერაც არ წაშლილა – აზერბაიჯანსა და თურქეთში ძალიან ბევრი ქართულ-მართლმადიდებლური ტაძრის ნახვა შეგვიძლია. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ კახის რაიონში წმინდა გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესიაა, რომლის წინამძღვარს, არქიმანდრიტ დემეტრეს აზერბაიჯანულმა მხარემ 21 ივნისს ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცა. ამიტომ, ეკლესია დღემდე სასულიერო პირის გარეშეა დარჩენილი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ აზერბაიჯანში მოქმედი კანონის თანახმად, ქვეყანაში ღვთისმსახურების უფლება მხოლოდ აზერბაიჯანის მოქალაქეებს აქვთ და სწორედ ეს გახდა საქართველოს მოქალაქე სასულიერო პირის ქვეყანაში არშეშვების მიზეზი. „ქართულმა სიტყვამ“ მომხდარის დეტალები არქიმანდრიტ დემეტრესთან გაარკვია:

რას ნიშნავს „ოცეული“ და ვინაა მადონა ბოლოშვილი

– 22 ივლისს ოთხი წელი სრულდება, რაც მისმა უწმინდესობამ ისტორიულ ჭერეთში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დამნიშნა. ოთხი წელი ტაძარში მსახურებისთვის შეიძლება, მცირე დროა, მაგრამ უცხო ქვეყანაში ნამოღვაწარი ეს პერიოდი, ალბათ, რამდენიმე ათეულ წელს უდრის. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მოწყვეტილი ხარ შენს სამშობლოს და მიდიხარ უცხო ხალხთან, რომელიც არ იცი, როგორ მიგიღებს... ამასთან, ყოველთვის იყო მცდელობა, რომ ღვთისმსახურება შეზღუდულიყო.

– ღვთისმსახურების შეზღუდვას ვინ ცდილობდა?

– აზერბაიჯანული მხარე. ერთადერთი ადგილი, სადაც ქართული სული ტრიალებს, ტაძარია. მრევლი 100-150 ადამიანს შეადგენს და ვცდილობდით, რომ ხალხი ტაძრის გარშემო შემოგვეკრიბა.

– ადგილობრივი მოსახლეობა თქვენს მიმართ აგრესიული იყო?

– ადგილობრივები დიდ პატივს გვცემდნენ არა მარტო კახში, არამედ, ნებისმიერ ადგილას, სადაც დავდიოდით. საზოგადოება ისე მიყურებდა, როგორც ღვთისმსახურს და შესაბამისად, მოწიწებით მექცეოდა. სხვათა შორის, დაძაბული ურთიერთობა არც ადგილობრივ ხელისუფლებასთან გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც არასასიამოვნო ფაქტები არსებობდა... ყოველთვის ვცდილობდი, პრობლემებისთვის გვერდი ამევლო იმიტომ, რომ ჩემს უკან ქართული ეკლესია იდგა, რომელმაც იმ კუთხეში წარმგზავნა, რათა ქართველობა და ქართული სული გამეძლიერებინა.

გაგრძელება მე- 9 გვ.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მახსოვს, ახალი ჩასული რომ ვიყავი, სახლს ქვები დაუშინეს.

– ვინ?

– ისე გაიქცა, ვერც დავინახეთ.

– ესე იგი, ადგილობრივებს თქვენი იქ ყოფნა მაინც არ სიამოვნებდათ...

– მოსახლეობა ასე არ მოიქცეოდა... ოფიციალურადაც, არავინ არაფერს მეუბნებოდა. ახლა კი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ თუკი ღვთისმსახურება მსურდა, აზერბაიჯანის მოქალაქე უნდა გავმხდარიყავი. მზად ვარ, ღვთისმსახურება იმ შემთხვევაში გავაგრძელო, თუ ორმაგ მოქალაქეობას მომცემენ.

– საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარის შესახებ ვისაუბროთ...

– კახში, დაახლოებით, ერთი თვე ვიყავი ხოლმე და 10 დღით უკან ვბრუნდებოდი. 21-შიც, კახში ჩვეულებრივ უნდა წავსულიყავი – საზღვარზე გადასვლისას ბეჭედი ჩამირტყეს, მაგრამ ამის მერე პასპორტის ფრიალი საეჭვოდ დაიწყეს. როცა ვითარებით დავინტერესდი, პასუხი ვერაფერზე მივიღე. გამოიძახეს საბაჟოს უფროსი, წაიღეს ჩემი პასპორტი და ბეჭედს ანულირება გაუკეთეს. საბოლოოდ, საზღვარზე არგატარების მიზეზი, როგორც საბაჟოზე მითხრეს, ის იყო, რომ „შავ სიაში“ ვიყავი გამწესებული და ნაბრძანები იყო, რომ აზერბაიჯანში არ შევსულიყავი...

ვეცადე, აზერბაიჯანული ნომრით აზერბაიჯანში არსებულ საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს დავკავშირებოდი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ჩემი ნომერი დაბლოკილია. საზღვრიდან რომ წამოვედი, საქართველოს დიასპორის სამინისტროს დავუკავშირდი, რომელმაც თავის მხრივ, საკონსულოსა და ბაქოში არსებულ საელჩოს მიმართა... ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ, გაერკვიათ, თუ რა ხდებოდა და დამირეკეს, მეც ყველაფერი მოვახსენე. საქმის კურსში საპატრიარქოც ჩავაყენე.

– რა გაარკვიეთ, თქვენი საზღვარზე არგატარება ვისი ბრძანება ყოფილა?

– არ ვიცი... აზერბაიჯანის საელჩო შეკითხვებზე პასუხს არ მცემს... Facebook-ზეც მივწერე. გენერალურმა კონსულმა დამირეკა და მხარდაჭერა გამომიცხადა. მინდა, ოფიციალური პოზიცია გავიგო, თუმცა ჯერჯერობით უპასუხოდ მტოვებენ. ინტერნეტის საშუალებით გავეცანი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანის მოქალაქეობის მისაღებად ვადა 1 ივნისამდე მქონდა და ქართული მხარის თხოვნით, ამ თარიღმა რამდენჯერმე გადაიწია.

– ამ შესახებ წინასწარ არ გაგაფრთხილეს?

– კანონი, რომელიც ღვთისმსახურების უფლებას მხოლოდ აზერბაიჯანის მოქალაქეებს აძლევს, დიდი ხანია, არსებობს, თუმცა ქართველ სასულიერო პირებზე გამონაკლისს უშვებდნენ. ორმაგ მოქალაქეობას კი, ყოველთვის ეწინააღმდეგებიან, თუმცა ჩემი აზერბაიჯანში არშეშვების ამ კანონის გამართლება არ შეიძლება.

– რატომ?

– აზერბაიჯანული მხარისგან ინფორმირებული უნდა ვყოფილიყავი... ეკითხათ, მოქალაქეობაზე თანახმა ვიყავი თუ არა. მაისში, როცა ჩემთან აზერბაიჯანის რელიგიის კომიტეტის თავმჯდომარე ჩამოვიდა, ორმაგი მოქალაქეობის თაობაზე ვკითხე და მიპასუხა, რომ ორმაგ მოქალაქეობას არ გამიკეთებდნენ. აზერბაიჯანულმა მხარემ, ასევე, მითხრა, მოგვეძებნა სასულიერო პირი, რომელიც მის მოქალაქეობას მიიღებდა. მიუხედავად ამისა, რელიგიის კომიტეტის ქვეორგანოს, „ოცეულის“ ერთ-ერთი წევრი დამიკავშირდა, რომელმაც მითხრა, რომ გამონაკლისის სახით, შესაძლებელი იყო ორმაგი მოქალაქეობა. ამის შესახებ პატრიარქს ვაცნობე, რომელიც დამთანხმდა, რომ ამ საკითხზე გვემსჯელა.

საბოლოოდ, საზღვარზე მოულოდნელად არ შემიშვეს.

რაც შეეხება აზერბაიჯანის მოქალაქეობას, ეს უსაფრთხოების გარანტი არაა. იყო შემთხვევა, როცა წმინდა მიქაელ ყულოშვილის ხსენების დღე ჩაგვიშალეს და მისი ხსენება დღემდე გვეკრძალება. ამის მიზეზი ისაა, რომ მიქაელი 1917 წელს მუსულმანებმა მოკლეს და ახლა დაძაბულობა არ უნდათ.

9 აპრილს, ჩვენი ეროვნული გმირების მოხსენიების საშუალებაც არ მოგვცეს.

– 9 აპრილს პარაკლისის გადახდა რა მიზეზით აგიკრძალეს?

– გაურკვეველი მიზეზები დაასახელეს.

– ღვთისმსახურების საშუალებას მაინც, ვინ არ გაძლევდათ?

– აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი პირები.

– სახელმწიფო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად რას აკეთებს?

– რეალურად, – არაფერს.

– ამ ეტაპზე თქვენი მოთხოვნა რა არის?

– კახში დაბრუნებას აღარ ვაპირებ, თუმცა მინდა, იქ წამსვლელმა სასულიერო პირმა თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნოს.

– საპატრიარქომ სიტუაციის გამოსასწორებლად რა ნაბიჯები გადადგა?

– საპატრიარქო პროცესებში აქტიურადაა ჩართული – გამოსავალს ერთად ვეძებთ. ყველამ ვიცით, რომ კახში ჩემამდე მყოფ ყველა სასულიერო პირს დიდი პრობლემები ჰქონდა და იქ, მაქსიმუმ, წელიწადნახევარი თუ ძლებდნენ. სახელმწიფო კანცელარიას მივმართეთ, რათა დაგვეზუსტებინა ორმაგი მოქალაქეობის მიღების გარემოებები და გაირკვა, რომ აზერბაიჯანის მოთხოვნით, ორმაგი მოქალაქეობა შესაძლებელი აღარაა.

როცა აზერბაიჯანის ელჩს შევხვდით, მანაც იგივე გვითხრა, თუმცა დასძინა, რომ საბაჟოზე მომხდარი დასაგმობია. შევთავაზეთ, დიპლომატიური პასპორტი გაგვეკეთებინა და საქმიანობა ასე გამეგრძელებინა, მაგრამ ამაზე გვიპასუხა, რომ დიპლომატი არ ვარ და თუ კახში ღვთისმსახურება მინდა, აზერბაიჯანის მოქალაქე უნდა გავხდე. შეხვედრის ბოლოს, ელჩს ვთხოვეთ, რომ ვიდრე ახალ სასულიერო პირს წარვგზავნიდით, კახში ღვთისმსახურება მე გამეგრძელებინა, თუმცა აზერბაიჯანის პოზიცია ამ საკითხზე ჯერაც უცნობია.

– გამოსავალს რაში ხედავთ?

– სასულიერო პირად ადგილობრივი ქართველი ეკურთხება, რომელიც ამავე დროს, აზერბაიჯანის მოქალაქეა, თუმცა მის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა საჭირო. აზერბაიჯანის მოქალაქეობას მივიღებდით, თუ შეზღუდვები და ბევრი პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოქალაქეობა არაფერს შეცვლის. რამდენიმე დღეა, იქ აღარ ვარ და ქართველმა „ოცეულის“ წევრებმა ეკლესიის კონტროლი დაიწყეს. მეტიც, სწორედ ამ ორგანოს ორმა წევრმა არია სიტუაცია – ყველაფერი მათი ხელით კეთდება.

ვითარების უფრო მკაფიოდ აღსაწერად ვიტყვი, რომ აზერბაიჯანში ყველა რელიგიურ კონფესიას თავისი „ოცეული“ ჰყავს, რომელსაც ზედამხედველობითი ფუნქცია აკისრია. მართლმადიდებლური ეკლესიის „ოცეულში“ ქართველები არიან, თუმცა მათ აზერბაიჯანელები ნიშნავენ.

– თუ „ოცეულში“ ქართველები არიან, სიტუაციას რატომღა რევენ?

– ქართველობა ეროვნებით კი არა, საქმით განისაზღვრება.

– „ოცეულის“ ხსენებული ორი წევრის ვინაობას დაასახელებთ?

– კი ბატონო... „ოცეულის“ თავმჯდომარეა იაგო... გვარს ვერ ვიხსენებ... მისი მოადგილე კი, მადონა ბოლოშვილი. რაც ეს ხალხი ეკლესიაში მოვიდა, თავი პრობლემებმა იჩინეს. ადგილობრივი ხელისუფლება გადასახადებს არ გვახდევინებდა, ამ „ოცეულის“ მოსვლის შემდეგ კი, 2005 წლიდან დაგროვილ ყველა გადასახადს გვახდევინებენ. ერთადერთი თონე შეგვრჩა, რომლის მეშვეობითაც გაჭირვებულებს ვეხმარებით. გარდა ამისა, ძალიან ბევრი პრობლემაა, რომელსაც ვერ ვიტყვი...

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი, როგორც ჩანს, საკმაოდ ბუნდოვანია და სახელმწიფო სტატისტის როლშია. ისე, ინტერნეტში ისტორიულ ჰერეთში ერთ-ერთი მცხოვრების ყურადსაღებ კომენტარს წავაწყდი: „იმოქმედეთ! სანამ საკმაოდ მარტივად მოგვარებადი პრობლემა გადაქცეულა ქაოსად“.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓᲐᲐ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ – ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲔᲫᲔᲑᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲮᲨᲘ ᲩᲔᲛᲐᲛᲓᲔ ᲛᲧᲝᲤ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲥ, ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛ, ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲗᲣ ᲫᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲡ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲔᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲓᲐᲒᲕᲔᲖᲣᲡᲢᲔᲑᲘᲜᲐ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲐ“.



ᲒᲝᲩᲐ ᲩᲐᲑᲜᲐᲫᲘᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

10 № 26 (290) 1 – 7 ივლისი 2015

ქართული ლიტერატურული ბანკი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲰᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

თაკო ჩარკვიანი: „ველოდები, რომ ბიძინა ივანიშვილმა „გაყვინიზებული“ ადამიანები დაიფრინოს!“

„ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝ. ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲗᲔᲝᲚᲝ�გᲘᲐᲡ ᲙᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ – ᲔᲡ ᲕᲔᲔᲑᲔᲠᲗᲔᲚᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐ – ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲖᲚᲕᲘᲗᲐ ᲗᲣ ᲛᲗᲘᲗ ᲒᲐᲔᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲜᲐ. ᲖᲝᲒᲘ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐ ᲒᲐᲥᲕᲗᲝ. ᲗᲣ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲗᲐᲕᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲜᲔᲑᲔᲑᲔᲜ? – ᲮᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡ ᲒᲕᲐᲠᲗᲛᲔᲕᲡ, ᲮᲐᲜ ᲨᲣᲐᲒᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ, ᲡᲐᲛᲐᲭᲐᲑᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲕᲐᲠᲓᲐ.“

მეგობრები ვართ და, როგორც მეგობრებს სჩვევიათ, ყველაფერზე ვლაპარაკობთ ხოლმე. ამას წინათაც შევყევით და... ერთ ჩვეულებრივ დიალოგს ინტერვიუს სახე მივეცი. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თქვენს წინაშეა სახალხო პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის შვილი, პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი.

– თაკო, წვიმის გეშინია?

– არა, თუმცა 13 ივნისის მერე, ინფორმაციას სიფრთხილით ველოდები და მინდა, ეს ინფორმაცია კარგი იყოს, რადგან როგორც ჩანს, რაღაც საფრთხე კიდევ არსებობს და აღარ მინდა, ჩემს ქალაქს პრობლემები შეეძნას და ამიტომ ვღელავ...

– ის, რაც 13 ივნისს მოხდა, შენი აზრით, ვისი ან რისი ბრალია?

– ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. მრავალი წლის წინ და უახლოეს ისტორიაში დაშვებული შეცდომების, იმ ავადსახსენებელი გვირაბისა და ახალდაბასთან ჩამოწოლილი მეწყერის თანხვედრა მოხდა. საერთოდ, ხელაღებით რაღაცების ერთ პიროვნებაზე გადაბრალება არ მიყვარს... როგორც გაირკვა, ვეებერთელა დატბორვა 1960 წელსაც ყოფილა – ამის თაობაზე მწერალ ედიშერ ყიფიანის მაშინდელი წერილი გამოქვეყნდა. 1924 წელსაც მომხდარა წყალდიდობა, ზუსტად 13 ივნისს და ეს საკრალური დამთხვევაა. სხვათა შორის, ეს რომ გავიგე, ცუდად გავხდი – ძალიან იმოქმედა. ერთი ვიცი: მრავალი წელია, ბუნებას უდიერად ვეპყრობით. ვანო, „ფეისბუქზე“ ვაჟას სიტყვები დაპოსტე, ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისაო. დიახ, ბუნება თავის კალაპოტს იბრუნებს და ურჩობას ვერ იტანს. ამდენი გაჩეხილი ტყე მხოლოდ ურჩობა კი არა, უგუნურებაცაა და ყველაფერ ამაზე პასუხი, ალბათ, ვიღაცამ უნდა აგოს. ვინმეს, ალბათ, უნდა ვთქვა, რომ პასუხი მაინცდამაინც მიშამ, ახალმა ხელისუფლებამ, ან არქიტექტორმა უნდა აგოს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი, თუმცა მას შემდეგ, რაც ელიზბარაშვილის ძაღლთა თავშესაფარი დაიტბორა, ორი-სამი კვირა გავიდა, ანუ ნახეს, რომ სვანიძის ქუჩა წაილეკა და შესაბამისი ზომები მაშინვე უნდა მიეღოთ. ეს ერთი ჯაჭვია...

– სხვათა შორის, ამ ჯაჭვში კიდევ ერთი სეგმენტია, მაგალითად, ლევან ვასაძე, რომელიც გვიმტკიცებს, რომ წარღვნა ნიშანი იყო. მას შემდეგ კი, რაც აშშ-მ ყველა შტატში ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა, ვიღაცებს სალაპარაკო მიეცათ, აი, ესეც სანაქებო დასავლეთი, რომელიც ყველა უბედურების სათავეა და თავზე რაღაცებს გვახვევსო...

– დასავლეთმა რა მოგვახვია?.. საერთოდ, თუ არ გინდა, ვერავინ ვერაფერს მოგახვევს. ძალიან მეშინა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც შიმშილობს, ასეთი არჩევანის წინაშე არ დადგეს: კუჭი თუ დასავლური ფასეულობები. ადამიანს წამლის შესაძენი ფული რომ არ აქვს, მართლაც, რთულია, რომ მაღალ მატერიებზე ელაპარაკო. გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ... მეშინია, ყველაფერ ამის იქითკენ წაყვანა ხელოვნურად არ მოხდეს, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, რაღაცებზე უარი თქვას, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ ეს დიდი პროცენტი არ იქნება.

– თაკო, მეც ასე მგონია, მაგრამ მაშინ რა მოხდება, თუკი ანტიდასავლური იდეოლოგია გამძაფრდება?

– ეს იდეოლოგია ყოველთვის არსებობდა და ამას ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი აკეთებდა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ და ვთქვით, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო.

– ეს ჯანსუღმა თქვა!..

– ჩემი შვილის თაობა, რა სატყუარაც უნდა გამოუგდონ, დასავლეთისკენ გულწრფელად ილტვის...

ამას წინათ, გია ჯაჯანიძის გადაცემაში ვთქვი, რომ ეს ძალიან რთული თემაა. მეც ადამი და ევა ვიცი და არა – ადამი და ადამი, მაგრამ ასე რომ გავყვეთ, ძალიან დიდ ქორეოგრაფებამდე, კომპოზიტორებამდე, შემსრულებლებამდე, მეფეებამდე მივალთ. ამიტომ, ამ საკითხის ასე დაყენება ნორმალური არ მგონია და გადაცემაშიც აღვნიშნე, რომ ეს ძალიან რთული და პრობლემური თემაა, რომ ასე საჯაროდ გამოსატანი და სათრევი იყოს. ადამიანმა საძინებელს საკეტი გაუკეთა. უფრო ადრე კი, ლეღვის ფოთოლი ჰქონდა აფარებული. ისე, არ ვთვლი, რომ დასავლეთი ასეთია. მაგალითად, საფრანგეთში ლგბტ საზოგადოების წინააღმდეგ მილიონიანი მიტიგი ჩატარდა, მაგრამ ვინმეს არც კეტი სჭერია და არც – ტაბურეტი. 17 მაისს აქცია წელსაც გაიმართა, მრგვალ ბაღთან, მაგრამ სამღვდელოების გარკვეული ნაწილი რომ არ გამოვიდა, 40 თუ 70 ადამიანი შინ მშვიდად წავიდა. პროპაგანდა, მგონი, მაშინაა, როცა ამის მოწინააღმდეგე ადამიანი ანაფორას გადაიცმევს და ტაბურეტით დარბის. როცა ტაბურეტით შუშას ამტვრევ და მოსალოდნელ მსხვერპლზე მიდიხარ, მღვდელი არ მგონიხარ. ხანდახან ვფიქრობ, რომ რაღაც ნაწილი ხელოვნურად შემოგდებული ხომ არ იყო?

– ანუ, უშვებ, რომ ამ დაპირისპირებულ მხარეებზე ვიღაც ფულს დებს?

– რატომაც არა?.. არაჩვეულებრივი და ინტელექტუალური მოძღვრებიც ვიცი. სხვათა შორის, ვანო, თუ გახსოვს, „ქართულ სიტყვაში“ მათთან ინტერვიუც გამოვაქვეყნეთ. არაჩვეულებრივად მოაზროვნე დედაოებიც არიან. ისინი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას კი არ ეწევიან, არამედ, ლიბერალურად ხელს უწყობენ, რომ დაპირისპირება არ მოხდეს.

– ჩვენთან „ლიბერალი“ უკვე სალანძღავ სიტყვად ითვლება...

– ეს იმის პრობლემაა, ვინც სალანძღავად თვლის... თუ ყველა ფასეული და ღირებული ტერმინი არ დავიცავით და მათ ავყევით, ვინც ამას ხელოვნურად აკეთებს, მაშინ გამოვა, რომ სუსტები ვართ! ვანო, სიმართლე გითხრა, ნაკლებად მაინტერესებს, ტაბურეტიანი ჩემს ინტერვიუს რომ წაიკითხავს, რას იტყვის... ძალიან ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე...

– ჰოდა, შენი პოზიცია ზოგისთვის მოულოდნელი ამიტომაცაა ხოლმე...

– მოულოდნელი რატომაა? ეს, ელემენტარულად, ქრისტიანობის გააზრებაა. საერთოდ, ქრისტიანობა უდიდესი და უმშვენიერესი სარწმუნოებაა, რომელიც არ უნდა შეურაცხყო. ქრისტიანობა საოცრად პროგრესულია. თეოლოგიას კი, დიდი განათლება სჭირდება. დავიწყოთ იქიდან, რომ შეგზავნილები ყველგან არიან – ეს ვეებერთელა მანქანაა, რომელიც წლები მუშაობდა, რომ ეს მარგალიტი ქვეყანა – თავისი ზღვითა თუ მთით გაენადგურებინა. ზოგი გვეუბნება, ასეთი რა გაქვთო. თუ არაფერი გვაქვს, თავს რატომ არ გვანებებენ? ესე იგი, გვაქვს, თორემ ასეთი ამბავი ხომ არ ატყდებოდა? – ხან აფხაზეთს გვართმევს, ხან შუაგულ ქართლში, სამაჩაბლოში შემოგვივარდა.

– თითო-ოროლა ამბობს, რა მნიშვნელობა აქვს, ტერიტორიებს რუსეთი წაგვართმევს, თუ აშშ ან ნატოო...

– აშშ-ს და ნატო-სგან წართმეული საქართველოს ტერიტორია ჯერ არ მინახავს!

– ტერიტორიას თუ არა, ზნეობას წაგვართმევსო, – ესეც მსმენია!..

– ვანო, ძალიან გთხოვ, რა?! ზნეობა და ქართველობა ვინ უნდა წამართვას?! როგორ, ილიას და სულხან-საბას დასავლური ღირებულებები რომ უნდოდათ, მზად იყვნენ, რომ ქართველებისთვის ზნეობა წაერთმიათ?! ეს სასაცილოა!

ვიღაცამ თქვა, არ მინდა, ჩემი შვილის პედაგოგი ჰომოსექსუალი იყოსო. როგორ გაიგო, რომ პედაგოგი ჰომოსექსუალია? ხშირად ეს ვიღაცას, როგორც ფსიქიატრები და ფსიქოლოგები ამბობენ, ბავშვობიდან აქვს, ვიღაცას – შეძენილი, ვიღაცას – გარყვნილებით. ხშირად კი გამოსახულიც არაა. მაპატიეთ და, შეიძლება, ქალს რაღაც უცნაური გადახრა აქვს და მშობელმა, რა, იცის, მისი შვილის პედაგოგ ქალს რა გადახრა აქვს? ამიტომ, ყველაფერ ამას, ანუ ყველანაირ, მათ შორის, ყველაფრის თავსმოხვევას კანონი უნდა არეგულირებდეს. სკოლებში კარგი ფსიქოლოგები უნდა მუშაობდნენ და რიგით პედაგოგს ამ თემებზე ზედმეტი საუბრის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

სხვათა შორის, გია ჯაჯანიძის გადაცემის ერთ-ერთმა მონაწილემ პირად საუბარში მითხრა, ქუჩაში გამოსვლა სულაც არ გვინდა, მაგრამ ისინი, ვისგანაც დაფინანსებას ვიღებთ, გვთხოვენ, იაქტიურეთო. როგორც ჩანს, ეს მანქანაც მუშაობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემა ტაბურეტით არ გადაწყდება!

– თაკო, ასეა თუ ისე, ფაქტია: განათლების პრობლემა თვალშისაცემია. არადა, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურითა თუ ისტორიით თავს ვიწონებთ... ისე, შენი დაკვირვებით, ქართული პოლიტიკური სპექტრი განათლებულია?

– ქართული პოლიტიკური სპექტრის მეტი წილი გაუნათლებელია! არადა, არაჩვეულებრივად მწიგნობარ-კალმოსანი მეფეები გვყავდნენ. ბოლოს და ბოლოს, დავით აღმაშენებელმა „გალობანი სინანულისა“ დაწერა.

– გაუნათლებლობაც რუსეთის კისერზეა?

– რა თქმა უნდა... ის დიდი დამპყრობელია. ერთი ხელით განათლებას იძლეოდა, მეორეთი კი, განათლებულ ინტელიგენციას ნაღებს ხდიდა. რუსეთს უბრწყინვალესი ლიტერატურა და პოეზია აქვს, მაგრამ ერთია ლიტერატურა და მეორე - რეჟიმი. რეჟიმისთვის კი უკეთესია, ბევრი გაუნათლებელი იყოს. ამიტომ, რუსეთმა ერს „ნაღები“ მოხადა. მაგალითად, მამაჩემის დედის ოჯახი ამოწყვიტეს – 1924 წლის რეპრესიებს გელოვანების მთელი ოჯახი მხოლოდ იმიტომ შეეწირა, რომ მწიგნობარი იყო, თორემ ანდრია და იასონ გელოვანებს სხვა ბრალი არ მიუძღვოდათ. სხვათა შორის, იასონი აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისასაა მოხსენიებული, როგორც მოღვაწე... 37 წელს კი, ევგენი მიქელაძე და სხვები შეეწირნენ...

– ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ იგივე კომუნისტების დროს ასპარეზზე ე.წ. 60-იანელები გამოვიდნენ, რომელთაც ბევრი კარგი საქმე გააკეთეს. ამ ფონზე, დღეს, წესით, განათლების პრობლემა არ უნდა გვქონდეს...

– 60-იანელებზე ლაპარაკი დაუსრულებლად შემიძლია – ამ თაობის ფანი ინიტომ ვარ, რომ მის ცენტრში გავიზარდე, ჩვენი ოჯახი დუღდა. სხვათა შორის, ამ თაობაზე ფაქტებით გაჯერებულ კრებულს ვაკეთებ და, ვანო, ახლა პირველად გეუბნები – მინდა, რედაქტორი იყო.

– დიდი მადლობა, თაკო, ნდობისთვის...

– ამას წინათ „ფეისბუქზე“ ვიდეო დავდე...

– იმ ვიდეოს გულისხმობ, 1921 წლის შემდეგ, პირველად, 1988 წელს, ვაკის პარკში, ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია, ჯანსუღ ჩარკვიანი და ანზორ ერქომაიშვილი დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ მიტინგზე ერთად რომ არიან?

– დიახ და მიტინგი ჯანსუღს მიჰყავს... ჯანსუღ ჩარკვიანი „ცისკრის“ რედაქტორი შევარდნაძის კი არა, მჟავანაძის დროს გახდა და ამის გადამოწება შეიძლება. ნოდარ დუმბაძე „ნიანგის“ რედაქტორი იყო, მუხრან მაჭავარიანი – „დილის“, თამაზ ჭილაძე – „მნათობის“, მოგვიანებით კი, გურამ ფანჯიკიძე „განთიადის“ რედაქტორი გახდა... ერთ მშვენიერ დილას, 60-იანელებმა ყველაფერი მოიცვეს და ეს ძალიან ჭკვიანური სვლა იყო...

1956 წლის 9 მარტს, როცა ხალხს მტკვარში ყრიდნენ, როგორც რუსთავის მაცხოვ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 11 ᲒᲕ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

1 – 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 26 (290)

11

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

რებელი იხსენებს, ჯანსუღ ჩარკვიანი ტრიბუნაზე ავარდა და იყვირა: „გაუმარჯოს, სტალინს! გაუმარჯოს, დამოუკიდებელ საქართველოს!“ (ამ ადამიანთან ინტერვიუ, რამდენიმე წლის წინ, „რუსთავი 2“-მა გაუშვა). მოკლედ, 60-იანელებმა მთელი მედია მოიცვეს და „მთავლიტშიც“ კი თავიანთი კაცი ჰყავდათ, ეს კაცი რომან მიმინოშვილი იყო, რომელიც მოგვიანებით ცეკა-ს განყოფილების გამგე გახდა...

– სამაგიეროდ, მისი ქალიშვილი, ქალბატონი მაია ხან „ნაცებთანაა“, ხან – „ქოცებთან“...

– მამამისი ნამდვილად კარგი ადამიანი იყო...

ჯანსუღამდე „ცისკრის“ რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე გახლდათ – ბრწყინვალე პიროვნება. მამა ამბობს ხოლმე, ბედნიერი ვარ, რომ ვახტანგის გზა ღირსეულად გავაგრძელეო. ჯანსუღი „ცისკარს“ 12 წელი რედაქტორობდა. „ცისკარმა“ ეპოქა შექმნა და თუ რამე თამამი არსებობდა, „ცისკარში“ სწორედ მაშინ დაიბეჭდა! ერთხელ, ერთმა ადამიანმა მითხრა, აბა, არ უნდა დაებეჭდაო. მივუგე, სხვა გამოცემებიც არსებობდა და მათ დაებეჭდათ-მეთქი. მოკლედ, სწორედ ჯანსუღის რედაქტორობის დროს, „ცისკარში“ იბეჭდებოდა კაკო ბაქრაძე, რეზო ჯაფარიძის სრულიად სკანდალური წერილი, რომლის გამოც „ცისკარი“ „მე-8 პოლკმა“ შუბებით დახვრიტა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჯანსუღის „რწმენის კედელიც“ სწორედ მაშინ დაიწერა და გამოქვეყნდა, სადაც ასეთი სიტყვებია: „პატრონი უნდა ტაოს, კლარჯეთსაც, პატრონი უნდა „ვეფხისტყაოსანს“, მესხეთ-ჯავახეთს...“ ხმას ახლა ძლივს იღებენ, ჯანსუღი კი „რწმენის კედელში“ 1969 წელს ამბობდა, მესხეთ-ჯავახეთს პატრონი უნდაო.

ყველაფერი ამ სახლში, ღამის 2-3 საათზე წყდებოდა – ჯანსუღის მთელი საძმაკაცო იკრიბებოდა, ემზარ კვიტაიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ ფანჯიკიძე, გურამ ასათიანი, თამაზ ჭილაძე. უეჭველი, ვიღაცები გამომრჩებოდნენ და ბოდიშს ვუხდი... ხან მხოლოდ ყურძენი და პური ჰქონდათ, ხან – დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპური, ხან კი – ჭაჭა... ერთხელ, „ცისკარში“ „ბომბი“ გავიდა – საბჭოეთისთვის აბსოლუტურად ძირგამომთხრელი წერილი. ამაზე ერთ-ერთმა მაშინდელმა შავრაზმელმა კრიტიკოსმა წერილიც გამოაქვეყნა, ჯანსუღ ჩარკვიანი იმიტომ უნდა გაათავისუფლოთ, რომ მის ჟურნალში სოციალიზმის ძირგამომთხრელი ლიტერატურული ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებაო და „დათა თუთაშხიასაც“ „გადაუარა“...

სხვათა შორის, ოტია პაჭკორიამ „პოლიტიკურზე“ 9 წელი მოიხადა. 70-იან წლებში რეაბილიტაცია არ არსებობდა, მაგრამ ჯანსუღმა „ცისკარში“ პასუხისმგებელ რედაქტორად წაიყვანა. ოტიას რომ უთხრა, ჩემთან მიმყავხარო, ოტიას ხუმრობა ეგონა... ეს უყურადღებოდ არ დარჩენიათ და ჯანსუღი დაიბარეს, ეს რა გააკეთეო. ჯანსუღმა მიუგო, კი, მაგრამ ხომ თქვით, დაბრუნებულ ადამიანებს ხელი უნდა შევუწყოთო და აი, ხელი შევუწყეო. პირად საქმეში 12 საყვედური ჰქონდა.

– ჯანსუღს?

– დიახ. ერთხელ, მითხრა, შვილო, მესამე საყვედურზე გხსნიდნენ და 12 საყვედური გაგიგიაო?!

– და მოხსნას როგორ გადაურჩა?

– ამას ისევ მისი საძმაკაცო აკეთებდა. აკი, გითხარი, თავიანთი საძმაკაცო სადღაც-სადღაც ჰყავდათ, ზოგი – „მთავლიტში“, ზოგი – ცეკა-ს განყოფილებაში... მოკლედ, ნორმალური ადამიანები...

80-იან წლებში, როცა ლიგაჩოვმა „სუხოი ზაკონი“ შემოიღო, ჯანსუღი აქტივის კრებაზე წამოხტა და მიკროფონში თქვა, ნუ „აყობით“ ლიგაჩოვს, ქაქის ჭამას მიგაჩოვთო. ჯერ სიჩუმე იყო, მერე კი, ისტერიული ხარხარი ატყდა. ლიგაჩოვი ითხოვდა, გადამითარგმნეთ, რა თქვაო. ვიღაცები კომფორმიზმზე ლაპარაკობენ. ერთი, მე და მამუკა ჩარკვიანს გვკითხონ, თუ ეს კომფორმიზმია! „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო“, – ეს ჯანსუღმა 1972 წელს თქვა და ამის გამო „ათრიეს“.

ვიღაცა იმასაც ამბობს, ჯანსუღი შევარდნაძის მეგობარი იყოო. დიახ, ასეა – ჯანსუღი, ნოდარ დუმბაძე და შევარდნაძე იმ დროიდან მეგობრობდნენ, როცა ჯანსუღი 19 წლის იყო, შევარდნაძეს კი არანაირი თანამდებობა არ ჰქონდა. შევარდნაძე პრეზიდენტობიდან რომ წავიდა, ვიღაცამ ჯანსუღს უთხრა, თქვენი ყოფილი მეგობარიო. ჯანსუღმა მიუგო, შვილო, ყოფილი მინისტრი ვიცი, მეგობარი – არაო... განსხვავებული აზრები ჰქონდათ თუნდაც იმიტომ, რომ ჯანსუღი ორჯერ ზვიად გამსახურდიას თავდები იყო, მაგრამ მაინც, მეგობრები იყვნენ!

თბილისში ლიტერატურული დღეები იმართებოდა. ჯანსუღი, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, სხვებიც, დარბაზში შევიდნენ. შევარდნაძემ დაუძახა, ჩვენთან დასხედითო. ჯანსუღმა გასძახა, მაქეთ ინაურები სხედან, აქეთ – შინაურებიო. ეს ალექსი ინაურმა იწყინა და იქვე, იმავე წამს, თავისიანებს რუსულად უთხრა, ხომ არაა დრო, ეს ყმაწვილი გააჩუმოთო. ჯანსუღი ყმაწვილი 22 წლის ასაკშიც არ ყოფილა... სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან ეს, პრაქტიკულად, განკარგულებას ჰგავდა. 10 წუთში, შევარდნაძე სადღეგრძელოს სვამს, ჯერ რესპუბლიკას ადიდებს და ერთ-ერთ ფრაზად ამბობს, მინდა, იმ საქართველოს გაუმარჯოს, სადაც უშიშროების გენერლებს არ ეგონებათ, რომ პირველი პირები არიანო. მოკლედ, ინაურის განკარგულება რაღაცნაირად შეაჩერა. ამას წინათ, მერაბ კოკოჩაშვილის ინტერვიუ მოვისმინე, შევარდნაძე რომ არა, ჩემს ფილმს, „ცხელი ზაფხულის სამ დღე“-ს თაროდან ვერ ჩამოვიღებდიო. შევარდნაძე ასეთ რაღაცებს აკეთებდა და ცდილობდა, რომ ამათთან ემეგობრა. ვიღაცას უნდა, რომ ყველაფერი ეს არ ითქვას და დაიმალოს... ეს მათი პრობლემაა!

– თაკო, გამბედაობა ჯანსუღისგან გამოგყვა?

– მამაჩემს რუსეთში არაჩვეულებრივი სამეგობრო ჰყავდა, მაგალითად, ბელა ახმადულინა, რომლის ანტისაბჭოთა ლექსები მოსკოვში არ გამოსცეს და ჯანსუღმა თბილისში დაუბეჭდა, მაგრამ ბავშვობიდან ვიცი, რომ ჩემი ქვეყნის ყველაზე დიდი დამჩაგრავი „დიდი ძმა“ რუსეთია. თუ გინდა, რომ ამ თაობას გული ატკინო, უნდა უთხრა, რას აკეთებდიო. აკეთებდნენ კი არა, სისხლამდე „იპორჭყებოდნენ“ და ამის დასტური ზემოხსენებული 1988 წლის კადრებია. კი ბატონო, მამაზე ოდნავ უმცროსი თაობა – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია და ირაკლი წერეთელი, თამრიკო ჩხეიძე, რა თქმა უნდა, დისიდენტები იყვნენ და ბრძოლის უფრო რადიკალური გზა აირჩიეს, მაგრამ მათ გვერდით ადამიანები ედგნენ. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას ხელი, ჯანსუღის გარდა, გამგეობის ყველა წევრმა მოაწერა...

– როგორ ფიქრობ, რუსული საფრთხე დღესაც რეალურია?

– გარკვეულ ნაწილს ქვეყნის 40 წლით უკან წაყვანა უნდა! ამას ვიღაცები არც მალავენ. ასეთი ლუსტრირება არასოდეს მახსოვს! ვანო, ოკუპაციის კანონი ხომ გვაქვს?

– დიახ, გვაქვს, მაგრამ ზოგი ამბობს, ეს მიშას მიღებული კანონიაო...

– არ მაინტერესებს, ვისი მიღებულია, ეს ქვეყანა ოკუპირებულია! 9 წელი მიშა საკაშვილს ვებრძოდი. მეცინება – ახლა ვიღაცებს თანამდებობებზე რომ ვხედავ, მაშინ ჩირგვებში იყვნენ! გირგვლიანის ამბავზე თავიდან 30-40 ქალი ვიდექით. ისიც მახსოვს, 7 ნოემბერს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს თავები რომ დაუხეთქეს და სისხლი არწყევინეს, ორი დღის შემდეგ, 9 ნოემბერს, ბურჯანაძე გამოვიდა და თქვა, სახელმწიფოებრივად სწორედ მოვიქეცითო. დღეს კი, რაღაც სისულელეებს ლაპარაკობს იმიტომ, რომ რუსეთი უნდა – რუსეთი მისთვის სათბურია! ვიღაცებს კორუფციული სივრცე ენატრებათ – ბიზნესის კეთება არ იციან. გულუბრყვილოებიც არიან, რომელთაც ჰგონიათ, რომ უკეთესობა იქნება, მაგრამ არ იციან, რომ რუსეთში, გარკვეული კორუფციული სივრცის გარდა, ლამის ხახვს ჭამენ. არ მგონია, ჭკვიან კაცს ქვეყნის უკან წაყვანა უნდოდეს, მაგრამ ერთხელ, ვიხუმრე, როგორც კი გავიგებ, რომ ქვეყანა აქეთკენ მიდის, ერთი მამუკა ჩარკვიანით, ერთი ჯანსუღ ჩარკვიანითა და ერთი ირმა გიგანით ქუჩაში იმდენ ხალხს გამოვიყვან, რამდენი მსმენელიც მამუკას „იუთუბიზე“ ჰყავს-მეთქი, მაგრამ არ მგონია, საქმე აქამდე მივიდეს! მთელი ცხოვრება ვნატრობ, რომ ეს ქვეყანა საფრანგეთსა თუ ბელგიასავით თავისუფალი და ჯანმრთელი იყოს. ვინ რა უნდა მოგახვიოს? დიდი ბოდიში და, 1978 წელს რუსეთი ენას მართმევდა და 1989-ში რუსთაველზე ამჩეხა. მოდი, ვიდრე დასავლეთის არარსებულ ცუდზე ვისაუბრებთ, ჯერ ის ჩამოვთვალოთ, რაც რუსეთის იმპერიამ გაგვიკეთა! ევროპელის მიერ წართმეული საქართველოს ტერიტორია არ მინახავს. სამაგიეროდ, მახსოვს, გორში რუსის ჩექმა რომ მოვიდა, ამერიკელები ნეიტრალურ წყლებში დასახმარებლად შემოვიდნენ! რუსთაველზე ამერიკელის კი არა, რუსის ჩექმა მინახავს! ისე, ჩექმა არავისი მინდა და თუ ცუდი მთავრობა გვეყოლება, ამერიკასა და ევროპას ნუ დავაბრალებთ! აბა, ნორმალური მთავრობა მოიყვანე და ნახავ, ვინ რას მოგახვევს და გაგიბედავს?!

– დღეს ნორმალური მთავრობა გვყავს?

– ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც ცვლილებაში მონაწილეობა მიიღო და დიდი იმედი მქონდა. ამ იმედის ნაწილი, რა თქმა უნდა, გამიცრუეს. ერთხელ, ვიხუმრე, ქუჩაში ჯანყარაშვილების გამო არ ვიდექით-მეთქი და პირდაპირ ეთერში გვარებიც დავასახელე – ყველაზე ცუდი მკვლელები, ვინც მიხეილ სააკაშვილს ჰყავდა, მაგალითად, უდესიანი, ჩვენს მიერ დანიშნული მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე, ლაშა ნაცვლიშვილი სწორედ მათ გაურიგდა, რაც იმედგაცრუებაა. ქალაქელები თითოეულ ადამიანს ვეპოტინებით, იქაა და იქნებ, ყველაფერი ცუდისკენ არ წავიდესო, მაგრამ მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ივსება დ არ მინდა, რომ აივსოს. როგორც კი გავბრაზდები, მაშინვე მახსენდება, რომ ბიძინა ივანიშვილს ქვეყნისთვის ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული.

– იქნებ, ივანიშვილსაც უღალატეს?

– შეიძლება. საუბარი აქეთკენ მიმყავდა და დამასწარი... სულ ველოდები, რომ ხელს მოიქნევს, ახლა სექტემბერს ველოდები და თუ არც სექტემბერში მოიქნია, მერე ხელების ქნევას ჩვენ დავიწყებთ. ველოდები, რომ „გაყვინიზებული“ ადამიანები დაიფრინოს, რომლებიც მხოლოდ მას კი არა, ქვეყანას და საერთოდ, ყველაფერს ღალატობენ!

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(ინტერვიუ გამოქვეყნდა პორტალ „taimer.ge“-ზე)

12 № 26 (290) 1 – 7 ივლისი 2015

ქართული სიტყვა

ლიტერატურული, ენერგეტიკული, ჰოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

საზოგადოება

ზოოპარკის ყოფილი თანამშრომელი 13 ივნისის ტრაგედიის მიზეზებს ასახელებს

იმისთვის, რომ თავიდანვე გაგარკვიოთ, თუ რატომ უნდა წაიკითხოთ ეს სტატია, გეტყვით: ზოოპარკის ყოფილი თანამშრომელი ვლადიმერ ნიბლიაშვილი პირდაპირ ამბობს, რომ 13 ივნისს, წარღვნისას, ზოოპარკის განადგურებაში დამნაშავე ახალი სამანქანო გზაა. ამასთან, „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ბატონი ვლადიმერი დეტალურად ხსნის, ასე რატომაა. ზოოლოგი, რომელმაც ზოოპარკში 20 წელი იმუშავა, სამსახურიდან 15 წლის წინ პროტესტის ნიშნად წამოვიდა. რა გააპროტესტა ნიბლიაშვილმა? ამ საკითხზე ქვევით ცოტა მოგვიანებით გიამბობთ, მანამდე კი, სხვა დეტალებს გაგაცნობთ, რათა თხრობა შეივსოს და ერთიანი სურათი დავინახოთ... ისე, ვლადიმერ ნიბლიაშვილს შინ მინი-ზოოპარკი აქვს მოწყობილი: თუთიყუშები, ზღვის ლომები, დეკორატიული მამლები... კატებისა და ძაღლის დანახვა, რა თქმა უნდა, არც გამკვირვებია...

„1990-იან წლებში, ჩემზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, ბატონმა ჯანსუღმა ჟურნალისტი გამომიგზავნა და თავის მაშინდელ გაზეთში ჩემთან ინტერვიუც დაბეჭდა“, **– დაიწყო თხრობა მასპინძელმა. იმხანად ზოოპარკის დირექტორი ბიზნესმენი დავით ნარსია იყო. ეს ის დროა, როცა ცხოველები შიმშილით კვდებოდნენ და ვლადიმერ ნიბლიაშვილი მათთვის საკვებს, თურმე, ნაგავში ეძებდა. ნარსიას ზოოპარკი საკუთარი ფინანსებით გადაურჩენია.**

„შემდეგ, თანამშრომლებად ისეთი პიროვნებები მოვიდნენ, რომელთაც ზოოპარკი ფულის საკეთებელ ადგილად გადააქციეს. როცა ნარსიას ვუთხარი, ამ ადამიანებთან ვერ ვიმუშავებ-მეთქი, მითხრა, მაგას დირექცია წყვეტსო. მეც, პროტესტის ნიშნად, წამოვედი. ცნობილი ფაქტია და ყველამ იცის, რომ გარკვეული ხნის მერე, ნარსია დაიკავეს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მინდა, ეს საკითხი ზუსტად არ ვიცი. ამიტომ იმაზე ვილაპარაკებ, რაც ვიცი – ცხოველებზე, – **ამბობს ბატონი ვლადიმერი და თხრობას აგრძელებს,** – როცა დირექტორად ზურაბ გურიელიძე დაინიშნა, მივედი და ვუთხარი, ზოოპარკზე წიგნი მაქვს დაწერილი, ქალაქს სჭირდება და იქნებ, გამოვცეთ-მეთქი. ადამიანებს ცხოველების მიმართ ცუდი დამოკიდებულება აქვთ. ზოგმა ისიც არ იცის, მათ როგორ უნდა მოექცეს. ამ წიგნით საზოგადოებას ჩემს გამოცდილებას გავუზიარებდი და ვეცდებოდი, ქართველებისთვის ცხოველები შემეყვარებინა. ისიც ვუთხარი, ზურა, თუ ზოოპარკს დავჭირდი, მითხარი და დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ არავინ შემხმიანებია. ეტყობა, საჭიროდ არ ჩათვალეს. გურიელიძემ კარგად იცოდა, ზოოპარკისთვის რას წარმოვადგენდი.

– ზოოპარკის თანამშრომლებმა ხომ იციან, ცხოველებს როგორ უნდა მოექცნენ?

– ეჰ... ძალიან იშვიათმა. 20, 30, 40 წლის განმავლობაში მუშაობდნენ ადამიანები, რომლებსაც ცხოველების არაფერი გაეგებოდათ და იქ მხოლოდ ხელფასის ასაღებად იყვნენ. ამაზე ყოველთვის გული მიკვდებოდა და ჩემი ცხოველები მეცოდებოდნენ. მათ სხვანაირი ყურადღება სჭირდებათ, სხვანაირი სითბო...

იცით, იქიდან რომ წამოვედი, ზოოპარკთან ახლოს გავლა და გახედვაც მიჭირდა, თან მერე, ყველაფერი აირია – ვოლიერები და ატრაქციონები თითქმის ერთმანეთს შეურიეს, ეს ჩემი ზოოპარკი აღარ იყო...

ამ ტრაგედიამ – ჩამხრჩვალმა და ჩაცხრილულმა ცხოველებმა გამანდგურა და როცა იმ კადრებს აჩვენებდნენ, ტელევიზორსაც ვერ ვუყურებდი.

– ბატონო ვლადიმერ, ზოოპარკი წყალმა რატომ წალეკა?

– იმიტომ, რომ ვერეს კალაპოტი შეუცვალეს; იმიტომ, რომ ახალი გზა პირდაპირ ვოლიერებზე გადაატარეს. რომ არა ეს დაწყევლილი გზა, ზოოპარკის ტრაგედია არ მოხდებოდა! ამ გზის გაკეთება ცხოველების ცოცხლად დამარხვას ნიშნავდა და ასეც მოხდა!

– მაშინ, როცა გზას აკეთებდნენ, რა მოიმოქმედეთ, ბატონო ვლადიერ?

– ვოლიერებზე ტრასა გადაატარეს და ზოოპარკი გაანადგურეს. ამბობდნენ, ქალაქს მანქანებისგან განვტვირთავთო. მე კი ვწერდი, რომ ეს კარგს არაფერს მოიტანდა და ვერეს ხეობას ჩაკეტავდა. 20 წელი იმ ადგილას ვიმუშავე, ვერეს ხეობას ისე კარგად ვიცნობდი, რომ ვიცოდი, რომელი ხე სად იყო; ისიც ვიცოდი, რომ ხეობა წყალს თავისუფლად ატარებდა. თავი ვალდებულად ვიგრძენი, რომ მეთქვა და ყველაფერი ეს დავწერე – „ცოცხლად დამარხული ჩვენი ზოოპარკი“. იქნებ, ვინმემ გაიზიაროს-მეთქი, მაგრამ...

„ცხოველები ასე სადისტურად და მასობრივად არ უნდა გაეჟლიტათ!“

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ახლა, როცა ეს ტრაგედია უკვე დროს მიაქვს და ისტორიას ბარდება, ყველა მხოლოდ იმის მცდელობაშია, პასუხისმგებლობა როგორმე აირიდოს და სხვას გადააბრალოს: ახალმა მთავრობამ – ძველს, ძველმა – ახალს, მშენებლებმა – ბუნების სისასტიკესა და დაუნდობლობას... ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ დამნაშავენი, თურმე, თავად ცხოველები ყოფილან... თითქოს მათ თავად გაითხარეს სამარე და იქვე, მათივე სურვილით ჩასაფრებული მესაფლავე ელოდა, რომელმაც 13 ივნისს საკუთარ მოვალეობას თავი „წარმატებით“ გაართვა.

– ამით რისი თქმა გინდათ?

– იმ გაუაზრებელი თხრილის მიუხედავად, რომელშიც მტაცებელი ცხოველები ცხოვრობდნენ, იმ ავბედით ღამეს, თავის გადარჩენა მაინც სცადეს, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს და ჩაცხრილეს. ჩემთვის გაუგებარია, თავის გადარჩენის მცდელობისას რატომ ამოწყვიტეს?!

– ბატონო ვლადიმერ, ეს, ალბათ, იმიტომ გააკეთეს, რომ ადამიანებისთვის საშიშნი არ გამხდარიყვნენ...

– ასე სადისტურად და მასობრივად არ უნდა გაეჟლიტათ. ყველაზე მარტივი გამოსავალი ნახეს. სპეციალისტებს უნდა სცოდნოდათ, რომ ამ დროს გაქცეული ცხოველი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში, გალიაშია, სახიფათო არაა და საკუთარი სურვილით თავს არავის დაესხმებოდა, პირიქით, ადამიანებს უფრთხოდა. ამიტომაც დარბოდა.

– ზოოპარკი ადრეც ხომ დაიტბორა...

– ამ ადგილას ზოოპარკი 20-იან წლებში გერმანელებმა გააკეთეს. თავიდან მისი ტერიტორია, როგორც ზოოპარკის ძველი, ასაკოვანი თანამშრომლებისგან ვიცი, 70 ჰექტარი ყოფილა. „მზიურიც“ მას ეკუთვნოდა, „გმირთა მოედანიც“ და ა.შ. მსგავსი წყალდიდობა მდინარე ვერეს ხეობაში 1960 წელს მომხდარა და გალიებში ჩაკეტილი ცხოველები ამომხრჩვალან.

– მაშინ ვერეს ბუნებრივი კალაპოტი ჰქონდა. აბა, რაღატომღა დაიტბორა ზოოპარკი, რაღატომ ამოიხრჩვნენ ცხოველები? ასე რომ, ახალი გზა რა შუაშია?

– მაშინ ზოოპარკსა და მდინარეს შორის დამცავი კედლის სიმაღლე საკმარისი არ იყო და წყალი ამიტომ შემოვიდა. ცხოველები კი, წლევანდელი 13 ივნისისგან განსხვავებით, იმიტომ დაიხოცნენ, რომ ჩაკეტილი გალიებიდან ამოსვლის საშუალება არ ჰქონდათ, თორემ ამოსულები კი არ ჩაუცხრილავთ... მას მერე კედელიც, რა თქმა უნდა, აამაღლეს. კიდევ ვიმეორებ: რომ არა ვოლიერებზე გადატარებული ტრასა და მდინარის შეცვლილი ბუნებრივი კალაპოტი, ზოოპარკი გადარჩებოდა!

მსგავსი წვიმა 1960 წლის შემდეგ, ჩემი მუშაობის დროსაც ყოფილა და როცა „გმირთა მოედანი“ დატბორილა, ზოოპარკს არაფერი დაშავებია.

ბუნებას არ უნდა ებრძოლო და ხეობა არ უნდა გაჩეხო. ვეღარაფერს ვიზამთ, მაგრამ ამით ჭკუა უნდა ვისწავლოთ. დაუბრუნონ მდინარეს ბუნებრივი კალაპოტი!

– ისე, ზოოპარკიდან წამოსვლა არ გინანიათ?

– იქ რომ ჩავივლიდი, თავს ვერ ვატრიალებდი და ცრემლები მომდიოდა... მახსენდებოდა, თუ როგორ დავდიოდი ლომის ბოკვერებსა და მაიმუნებთან ერთად... ყველაფერი მახსენდებოდა. ამ ტრაგედიამ კი, საერთოდ გამანადგურა.

არასოდეს ვინანებ ზოოპარკში გატარებულ წლებს – იქ ჩემი თავი ვიპოვე. ის იყო ჩემი ადგილი. დღესაც ცხოველებთან ერთად ვცხოვრობ და მათ გარეშე არ შემიძლია. თავიდან რომ დავიბადო, ისევ ასე ვიქნები და ისევ ცხოველებს ავირჩევ.

– ცხოველებთან მოქცევის კულტურა არ გვაქვსო, ამბობთ... თქვენი აზრით, რატომ?

– იმიტომ, რომ ბავშვობიდან არ გვასწავლიან. მაგალითს მოვიყვან და მიხვდებით: ერთ ბებიას ზოოპარკში შვილიშვილი დაჰყავდა ხოლმე. ბავშვს ჯიბეები სულ ქვებით ჰქონდა გამოტენილი. დააყენებდა ბებია ვეფხვის გალიასთან და ბავშვი ქვებს ესროდა, თან უბაროდა. ერთხელ, იმ ქალს ვკითხე, ამას რატომ აკეთებ-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? – აქ ცხოველი ხომ იმიტომაა, რომ ბავშვი გაართოს და გააცინოსო.

– ახალი ზოოპარკის აშენებაზე რას ფიქრობთ?

– ზოოპარკზე მაშინ უნდა ვიფიქროთ, როცა მის რეალურ მნიშვნელობასა და ჩვენს ცხოვრებაში ცხოველების ადგილს გავაცნობიერებთ. თუ მაინც ჩავთვლით, რომ ზოოპარკი გვჭირდება (და ნამდვილად ასეა), უნდა იმუშაონ სპეციალისტებმა, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ, რადგან გარეულ ცხოველებს სულ სხვანაირი მიდგომა ესაჭიროებათ. მშენებლობის დროს ყველა ის პირობაა გასათვალისწინებელი, რომელიც ზოოპარკს ცხოველების ბუნებრივ საცხოვრებელთან მაქსიმალურად მიაახლოვებს.

ესაუბრა ბექა ღიბრაძე

„როცა დირექტორად ზურაბ გურიელიძე დაინიშნა, მივედი და ვუთხარი, ზოოპარკზე წიგნი მაქვს დაწერილი, ქალაქს სჭირდება და იქნებ, გამოვცეთ-მეთქი. ადამიანებს ცხოველების მიმართ ცუდი დამოკიდებულება აქვთ. ზოგმა ისიც არ იცის, მათ როგორ უნდა მოექცეს. ამ წიგნით საზოგადოებას ჩემს გამოცდილებას გავუზიარებდი და ვეცდებოდი, ქართველებისთვის ცხოველები შემეყვარებინა. ისიც ვუთხარი, ზურა, თუ ზოოპარკს დავჭირდი, მითხარი და დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ არავინ შემხმიანებია. ეტყობა, საჭიროდ არ ჩათვალეს. გურიელიძემ კარგად იცოდა, ზოოპარკისთვის რას წარმოვადგენდი“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

1 – 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 26 (290)

13

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲐᲤᲓᲐ, ᲛᲘᲬᲐ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ!

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ „ᲛᲐᲙᲚᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲘᲓᲐᲜ“

ერთ დროს მომგებიანი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაში შუამავლობა, ანუ „მაკლერობა“, დღეს მომგებიანი აღარაა. მიზეზი მარტივია: გართულებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, უძრავ ქონებას ერთეულებიღა ყიდულობენ, შესაბამისად, აღარც კლიენტია და აღარც — შემოსავალი!

არაერთხელ უთქვამთ, რომ ლარის გაუფასურებამ და ეკონომიკური პროცესების შეჩერებამ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ლამის გააკოტრა. საბანკო ვალდებულებების, გაძვირებული პროდუქტისა თუ მომსახურების გამო, ადამიანები უძრავი ქონების შეძენაზე კი არა, უკვე იმაზე ფიქრობენ, შემოსავალი, რომელიც ზოგიერთს ჯერ კიდევ აქვს, როგორმე ისე გადაანაწილონ, რომ თავიც გაიტანონ და არც ფინანსური ვალდებულებები დაივიწყონ. არადა, იყო დრო და არცთუ დიდი ხნის წინ, როცა ბევრი უძრავი ქონების შეძენას სწორედ უზრუნველი მომავლის გამო რისკავდა და მიაჩნდა, რომ თუნდაც რომელიმე საფინანსო ინსტიტუტის დახმარებით შეძენილი ბინის საფასურის გადახდას აუცილებლად შეძლებდა. როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვია, ახლა ბაზარზე სწორედ ასეთი ბინები „გამოდის“ და მინიმალურ თანხად, პრაქტიკულად, ნახევარ ფასში იყიდება. ადამიანები იმ დანაკარგს, რომელსაც სესხის დასაფარად წლები იხდიდნენ, აღარ დაეძებენ. დღის წესრიგში მხოლოდ ის დგას, ბანკების სესხსა და ლარის კურსის დაცემის გამო გაორმაგებულ გადასახადს თავი როგორმე დააღწიონ. უძრავი ქონების მაკლერები სწორედ ამ ფაქტორს უკავშირებენ ბინების გაიაფებას. „ქართული სიტყვა“ ქალაქში ერთ-ერთ ცნობილ „ბირჟას“ ეწვია. ასეთი ქალაქში სულ ორი-სამია, აქედან ერთი — გლდანში, რომელიც მხოლოდ ქალაქის ამ ნაწილს არ ემსახურება: როგორც აღმოჩნდა, აქ ქალაქის ცენტრიდანაც ბევრი იმ იმედით მოდის, რომ ბინის გაყიდვას ხეირიანად შეძლებს, თუმცა მყიდველი თვეში ერთი თუ გამოჩნდება. არადა, ადრე, დღეში, მინიმუმ, ერთი ბინა მაინც იყიდებოდა.

კლიენტი გამოჩნდაო და, ჩემს დანახვაზე ერთდროულად ათი კაცი წამოვიდა. როცა ჩემი მისვლის მიზანი გაიგეს, ერთი ადამიანი შემატოვეს, ეს ყველაზე კარგი მოლაპარაკეა, ბაზარშიც კარგად ერკვევაო და ჩრდილში, კუსტარულ სკამებს დაუბრუნდნენ. ეს „კარგად მოლაპარაკე“ მაკლერი კი, ყოფილი ჩინოვნიკი და ახლაც მერიის გამოცდებზე გასული, კონპეტენციაგადალახული, მაგრამ სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით დაწუნებული აღმოჩნდა.

— გამოცდები რომ ჩავაბარე და სამსახურში მაინც არ მეძახიან, იმაზე დაწერე. აქ რა ხდება, ეს რაში გაინტერესებს?! — მითხრა.

დავპირდი, იმასაც დავწერ, თუ სამსახურში არ დაგიძახეს-მეთქი. მერე ის მთხოვა, ჩემი თავი მძულს, მთელი დღე აქ, კლიენტის მოლოდინში რომ ვდგავარ და მოდი, სახელსა და გვარს ნუ დაწერო. კი ბატონო-მეთქი...

მაშ ასე, რა ხდება უძრავი ქონების ბირჟაზე? — „ქართული სიტყვა“ ყველაზე მოლაპარაკე მაკლერს ესაუბრა.

— აქ რომ მოვედი, თითქმის ყველა ჩემსკენ წამოხვედით. კლიენტი ასე იშვიათია?

— ადრე დღე ისე არ გავიდოდა, ერთი ბინა მაინც არ გაყიდულიყო. ახლა კი, ხან მთელი თვე ისე გაივლის, რომ ჩვენთან არავინ შემოიხედავს.

— აბა, რატომღა დგახართ?

— რა ვქნათ, რაღაცას ვცდილობთ, ბინის მყიდველი თუ არ არის, ვიღაც ქირისთვის ხომ მაინც მოვა?!

— ბინის მყიდველები რატომ აღარ არიან?

— არ მითხრათ, რომ არ იცით — ხალხს, ბინის ყიდვის კი არა, პურის ფული უჭირს!

— ამბობენ, რომ ბინები ძალიან გაიაფდაო. წესით, მყიდველიც მეტი უნდა იყოს...

— მხოლოდ ის ბინები გაიაფდა, რომლებიც იპოთეკითაა დატვირთული და მეპატრონეებს მეტი გზა არ აქვთ — ისეთ ფასად „გამოაქვთ“, რა ვალიც იპოთეკარებთან აქვთ, თუმცა ეს ბინებიც აღარ იყიდება.

— წეღან მითხარით, ვისაც ბინა თავისუფალი აქვს, მაინც კარგ ფასად ყიდისო, ეს როგორ გავიგო?

— ისინი მყიდველს თვეობით ელოდებიან და ვიდრე შესაფერისს არ ნახავენ, არ ყიდიან.

— გამოდის, რომ ბინების ფასი ლარის გაუფასურებამ კი არა, იმ ადამიანებმა „დაადგეს“, ვისაც საცხოვრებელი იპოთეკით აქვთ დატვირთული. ასეა?

— ვისაც გინდათ, დააბრალეთ. ფაქტია: ბინების ფასი, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ძალიან დაეცა.

— ამ უბანში ვცხოვრობ, ერთოთახიანი „ჩეხური“ პროექტის ბინა მაქვს და რომ მოვინდომო, რა ფასად გავყიდი?

— ერთი წლის წინ თქვენი ბინა 32-35 ათასი დოლარი ღირდა, ახლა კი, თუ 25 ათასში გაყიდეთ, მადლობა უნდა თქვათ.

— ვისაც ფული აქვს და ყიდვა უნდა სასურველ ბინას ინტერნეტის საშუალებითაც შეიძენს...

— ოფისიც მაქვს და ინტერნეტსაც ვიყენებ, მაგრამ კლიენტს იქაც ვერ ვპოულობ.

— კლიეტებს, ეგებ, მაღალი საკომისიო გადასახადი აფრთხობთ?

— ადრე საკომისიოსთან დაკავშირებით „სტავკები“ არსებობდა. ახლა მოხსნილია და საკომისიოს აღება მხოლოდ ინდივიდუალური მოლაპარაკებით ხდება. ასე რომ.....

— ბინებს არც უცხოელები ყიდულობენ? როგორც ვიცი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვინც 35 ათასი დოლარის ქონებას ფლობს, ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების უფლებას ადვილად იღებს...

— ბინებით ძალიან იშვიათად ინტერესდებიან. უცხოელებისთვის კერძო სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონება კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

— გამოდის, რომ ბირჟაზე მხოლოდ ქირა და გირაო მუშაობს...

— ახლა ისეთი სეზონია, ქირაც აღარავის უნდა. რაც შეეხება გირაოს, იმდენს აფასებენ, რომ ადამიანები იძულებული არიან, ისევ ყიდვაზე იფიქრონ,,

— ბინის გაქირავებისას ხელშეკრულება ფორმდება?

— ხელშეკრულების გაფორმებას უფრო კლიენტი ითხოვს იმიტომ, რომ მეპატრონის „ხუშტურებისგან“ დაზღვეული იყოს.

— ეს რას ნიშნავს?

— ზოგიერთი მეპატრონე, დოლარის კურსის ორი პუნქტით მომატებისთანავე, ქირის გაზრდას ითხოვს. ამიტომ კლიენტს ხელშეკრულება ურჩევნია, თუმცა ბევრი მეპატრონე ამაზე არ თანხმდება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ბინის მეპატრონეს სახელმწიფოსთვის გადასახადის გადახდა უწევს, თუმცა ახალმა მთავრობამ მათზე იზრუნა და თუ ადრე 20% იხდიდნენ, ახლა მხოლოდ 5% იხდიან. რას იზამ, მთავრობა მაინც მათზე ზრუნავს, ვისაც არაფერი უჭირს?!

— მიწის ფასი როგორია?

— მიწის ფასი თითქმის არ შეცვლილა, უფრო სწორად, გაძვირების ტენდენცია შეიმჩნევა, თუმცა მყიდველი აქაც არაა.

...ახლა მკვდარი სეზონია, მაკლერები ბაზრის გააქტიურებას სექტემბრიდან ელიან და ამბობენ, რომ თუ მანამდე ლარის კურსი კიდევ უფრო არ დაეცა, სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

ᲡᲢᲝᲞᲙᲐᲓᲠᲘ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ

რიგგარეშე სხდომების დასრულებამდე, პარლამენტში შესაძლოა, ახალი ფრაქციის ფორმირება მოხდეს. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ეს „ლიბერალ-დემოკრატების“ ფრაქცია იქნება, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობიდან“ გასული ოთხი დეპუტატი და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კიდევ უფრო ადრე გამიჯნული მაჟორიტარები გაერთიანდებიან.

პარლამენტში არსებული ინფორმაციით, ახალი ფრაქციის შექმნაზე მუშაობა დაწყებულია და მის შემადგენლობაში შევლენ: პავლე კუბლაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი მელაძე, გოგა ხაჩიძე, ასევე, კახა ოქრიაშვილი და ენზელ მკოიანი, რომლებიც ამჟამად ფრაქციით — „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები“ უმრავლესობაში შედიან.

როგორც პარლამენტში ითქვა, მოლაპარაკების პროცესი სხვა ყოფილ „ნაციონალ“ მაჟორიტარებთანაც მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, ახალ ფრაქციაში ექვსზე მეტი წევრი იყოს.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, საპარლამენტო ფრაქციის ფორმატში დაწყებული თანამშრომლობა პოლიტიკური პარტიის დაფუძნებით გაგრძელდება, რაც უკვე საშემოდგომოდ იგეგმება.

პარლამენტში ისიც ითქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წარმომადგენლების გვერდით შესაძლოა, ვიხილოთ ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კახა ოქრიაშვილი იმ მაჟორიტარებს შორისაა, რომლებიც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მიმართულებით დაგეგმილ ცვლილებებს მხარს არ უჭერენ და კრიტიკას ღიად გამოხატავს.

მოსალოდნელია, რომ მმართველი უმრავლესობა და ცალკეული მაჟორიტარები სწორედ მაჟორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით ერთიან პოზიციაზე ჩამოყალიბებას ვერ შეძლებენ, რაც არჩევნების წინ მათი გამიჯვნის მიზეზი იქნება.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ 200, ᲮᲐᲠᲯᲕᲘᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲙᲘ 140 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ბიუჯეტის ახალი ვარიანტი, რომლის შემოსავლებიც 200 მილიონითაა შემცირებული, ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდა. ბიუჯეტი 140 მილიონით მცირდება ხარჯვით ნაწილშიც, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ეს შემცირება არ გამოიწვევს სოციალური ხარჯების შეკვეცას. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ბიუჯეტი, რომელიც წარადგინა მთავრობამ, არ იქნება საკმარისი ქვეყნის ეკონომიკისა და ლარის სტაბილურობისათვის.

ექსპერტების შეფასებითვე, ახლა მთავარია, როგორ დაიხარჯება თანხები დარჩენილ 6 თვეში.

„ეს იმას ნიშნავს რომ ბიუჯეტი ვერ გახდება ეკონომიკის სტაბილურობის გარანტი, შარშანდელი ტენდენცია გრძელდება, დღეისათვის დახარჯულია 4,2 მილიარდი ლარი ანუ წლის დარჩენილ ნაწილში აქამდე დახარჯულზე ერთი მილიარდით მეტია დასახარჯი. როგორ მოახერხებს ამას მთავრობა და როგორ გაანაწილებს ამას თვეების მიხედვით, ამაზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული, თუ ისევ ბოლო თვეებში დახარჯა ძირითადი თანხა, შედეგი იქნება ცუდი“, — აცხადებს „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. პარლამენტის თავმჯდომარე ბიუჯეტის კომიტეტებში განხილვის დასრულებას 7 ივლისისთვის ითხოვს, რათა ბიუჯეტი მთავრობას დაუბრუნდეს და შემდეგ ხელახლა შევიდეს პარლამენტში დასამტკიცებლად“.

„ᲢᲐᲘᲛᲔᲠ.ᲒᲔ“

14 № 26 (290) 1 – 7 ივლისი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“



ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ძმაო ტარიელ, სიყვარულით მოგესალმები. მთელი ახალგაზრდობა ერთად გაგვიტარებია. კარგად გახსოვს ჩემი და ჩემი ოჯახის სიყვარული შენდამი. მე არც შენ გამაგებინე და არც მე მახსოვდა, როდის გახდი 80 წლის. რას ვიზამთ, ასეც ხდება...

დღეს 83 წელს გილოცავ. გაიხარე და დიდხანს იცოცხლე.

აი, შენი სტრიქონები გამახსენდა:

„საქართველო, ვიცი, ბოლოს
ამ ძმათაკვლას მორჩება,
ჭრილობები მოშუშდება,
დედის გული მორჩება!“
ყველაფერი კარგად იქნება.

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

ᲩᲔᲛᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ...

შემოდგომა ჩემს ქალაქში ბევრჯერ დაისადგურებს...
შემოდგომა გაათბობს და გაახარებს მათ გულებს,
ვინც მიყვარდა.. შემოდგომას ჯერ – თბილისი
გაიგებს;
„ქარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს გაშლის, ფეხქვეშ
გაიგებს!“
რა კარგია, რა კარგია, თქვენ რომ კარგად იქნებით!
რა ცუდია, რა ცუდია! – მე ვერაფერს გავიგებ...
ისვრის ვიღაც... და ვიღაცა სულ სისხლით გაითხვრება...
კიდევ ბევრი კაი ბიჭის საფლავი გაითხრება...
და იქნება ტირილი და ცრემლის ღვრა და გოდება!
თქვენ ის შეგეცოდებათ და მე ვერ შემეცოდება!
მე იმ ღამეს საფლავს ჩემსას ლოგინივით დავიგებ,
და თქვენს ტკივილს, წუხილს თქვენსას, ვერაფრით ვერ
გავიგებ...
რა ცუდია, რა ცუდია, თქვენ
რომ ცუდად იქნებით!
რა კარგია, რა კარგია! – მე ვერაფერს გავიგებ...
საქართველო, ვიცი, ბოლოს ამ ძმათა კვლას მორჩება!
ჭრილობები მოშუშდება.... დედის გული მორჩება...
ლურჯი სუფრა გაიშლება, სადღეგრძელო ითქმება,
რა ხაშლამა შეიჭმება! რა ღვინო დაინთქმება!
მერიქიფე ნიამორეს ფრენით ჩამოარიგებს!
ბატკნებს ააკიკინებენ – ამ საცოდავ ტარიგებს...
რა კარგია, რა კარგია, თქვენ რომ კარგად იქნებით!
რა ცუდია, რა ცუდია! – მე ვერაფერს გავიგებ...
რა ცუდია, რა ცუდია! მე ვერაფერს გავიგებ
და
რა კარგია, რა კარგია! – მე ვერაფერს გავიგებ...

ᲥᲝᲜᲘᲠ ᲯᲣᲜᲭᲣᲐᲜᲘ

ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘ

რა თქმა უნდა, ქმარს უნდა
იყოს მისი ცოლი
მისი ცოლი კი არა –
ანჯელინა ჯოლი!
რა თქმა უნა, ცოლს უნდა
იყოს მისი ქმარი
მისი ქმარი კი არა –
ვთქვათ, მორგანი ჰარი...
ზოლიანი ზებრა და
ვეფხვიანი ზოლი...
მოღალატე ქმარი და
მოღალატე ცოლი...
მაგრამ თუ დასჯერდებით
მხოლოდ ფიქრში ღალატს,
კაცს – კაცად არ ჩაგთვლიან,
და ქალს კიდევ – ქალად...
(თუმცა მარტო თბილისში
არ ყოფილა ასე:
წერო წეროს კორტნიდა,
ძერა ძერას კოცნიდა
ვარადეროს ცაზე...).

ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ. ᲡᲐᲚᲐᲛᲝ

მიდიხარ თოვლში თოვლივით კარგი
და კარგი ბიჭის ერთგული ცოლი,
და სუსტი მხრებით შენ მიგაქვს ხარკი –
ათასი ბიჭის ნასროლი თოვლი.
გამახსოვრდება გაშლილი მხრები...
გაკრთობს ქუჩაში ნაპოვნი ვნება,
მაგრამ ოჯახში იოლად თბები...
და სხვისი თოვლიც... იოლად დნება.

ᲐᲚᲔᲠᲡᲘ

როგორ მინდა, მინდა, მი...
ბაგე მარწყვი, მარწყვი, მა...
გაგონება შენი ხმის,
შენი ნაღვლიანი ხმა.
ისევ ძველი, ძველი, ძვე...
ისევ თბილი, თბილი, თბი...
მკრთალი ოქტომბერის თვე,
და სიმღერა, შენ რომ თქვი.
ისევ ზევით, ზევით, ზე...
ისევ დიდი, დიდი, დი...
ლურჯი, ლურჯი, ლურჯი მზე,
მკერდიდან რომ სისხლი დის...
მაგრამ თინა, თინა, თინ...
შენ მშორდები... თანდათან...
ჩემზე უკეთ აბა ვინ,
ვინ უმღერებს დაღლილ ტანს.
თუმცა კმარა, კმარა, კმა...
მე კვლავ მინდა, მინდა, მი...
გავიგონო შენი ხმა
და ტკივილი შენი ხმის...

● ● ●

უხერხულია – შენ გერქვას ცოლი –
შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე.
აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი! –
მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ...

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ჰარიარა – ლალე, ჰარიარა – ლულუ,
ჰარიარა – ლილე, ჰარიარა – ლოლა!
სად არიან, ნეტავ, გურამა და რეზო,
გურამა და საშა, გურამა და ჭოლა!
მომიკითხეთ, ყველა, ვინც საფლავში არ წევს,
ვის საფლავზეც ქარი ყვავილს ჯერ არ არწევს!
ჩემო კარგო დებო, ვერ გივიწყებთ ვერც ერთს!
საყვარელო ძმებო, არ გივიწყებთ არც ერთს!
დივლიდალა – ლალე, დივლიდალა – ლილე,
დივლიდალა – ლულუ, დივლიდალა – ლელე!
უერთდება სუფსა გრიგოლეთში შავ ზღვას,
უერთდება სუფსას ჩემი ცრემლის ღელე...

ერთს ვეძახდით ლიას, და მეორეს – ლიკას,
ერთს ვეძახდით დავითს, და მეორეს – ულუს!
ჰარიარა – ლალე, ჰარიარა – ლოლა,
დივლიდალა – ლილე, დივლიდალა – ლულუ...
თავს როგორც კი დავდებ, ეს ბალიში წამსვე
გადამაქცევს ისევ თითის სიგრძე ღლაპად...
ცრემლისაა, ნეტა, ეს სისველე თბილი,
თუ ზღვის მლაშე წყალი ახლაც ჩამეყლაპა...
ჰარიარა – ლალე, ჰარიარა – ლოლა,
დივლიდალა-ლელა, დივლიდალა-ლილე!
სადმე თქვენთან, ახლოს... ამ უბრალო ანდერძს,
რა თქმა უნდა, ძმებო, მეც ვუტოვებ შვილებს!
ჰარიარა-ლილი, დივლიდალა-ლოლა...
იოლია თქვენთან თვით საფლავში წოლა..

● ● ●

გოდოს გოდო, გოდოს გოდო, გოდოს გოდო
გადაება,
და მოუსვლელ გოდოებად
იქცა საზოგადოება!
ბრიყვი ბრიყვს და ბრიყვს და ბრიყვს და
ბრიყვს და
ბრიყვს რომ გადაება,
იქცა საზოგადოება
ბრიყვ და მკრეხელ ღადოებად!
–წააადით! – რუსეთს დაუძახოს ნეტავ
საზოგადოებამ! –
ნეტავ საზოგადოება
იქცეს უცებ... კატოებად!
იქცეს უცებ კატოებად და ენამჭევრ ქაჯანებად!
მენატრება სიმამაცის
და ღირსების აჯანყება!

ᲪᲔᲙᲕᲐ ᲙᲐᲤᲔ „ᲐᲛᲑᲐᲡᲐᲓᲝᲠᲨᲘ“

ტვისტი და ტვისტი, ჰალი – გალი!
ფიცი და ფიცი. ქალი. ქალი.
ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი.
როკი და როკი. ჰალი – გალი!
– ხომ არ გეშინია?
– მეშინია!
– რატომ გეშინია?
– მეშინია!
– კიდევ გეშინია?
– მეშინია!
– გესმის? გერშვინია!
– გერშვინია.
– კონიაკს დალევ?
– მანგოს წვენს!
– უნდა გაკოცო!
– მაკოცე!
– შენ არ მაკოცებ?
– მე არა!
– მაშინ მე ორჯერ გაკოცებ!
ტვისტი და ტვისტი. როკი!
დრო კი, ძვირფასო, დრო კი
მიახრიგინებს ვნებებს,
როგორც პარტიზანს დროგი!
ცისფერი კაფე. ჰალი – გალი!
ცისფერი კაბა. ჰალი – გალი!
ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი!
ქალი და ქალი! ჰალი – გალი!
ჰალი – გალი!
ქალი. ქალი!
ჰალი – გალი!
ქალი. ქალი!

ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ

(პათეტიკური)

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით.
და როცა მოვკვდით –
ყოველთვის ვცხონდით!..
სალამი სალამს:
ნინოს და თამარს;
თამარს და ნინოს;
და ისევ – თამარს!
თევდორე ხუცესს;
პაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს!..
ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
– საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!..
დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით –
ყოველთვის ვცხონდით!..

ᲘᲠᲝᲜᲘᲣᲚᲘ

დაირღვა ძველის-ძველის-ძველი
ულამაზესი ჰარმონია:
ყოველ მეხუთე მამაკაცში
დღეს დედაკაცის ჰორმონია!
ანუ მეხუთე კაცი ყველა–
პირწავარდნილი ლაჩარია!
უნდა ამასაც შეურიგდე! –
რას იზამ, მეტი რა ჩარაა:
რას ჩამოასხამ, შიგ რაც არ დგას!
რას დალევ, ჯამში რაც არაა!
დაირღვა ძველის-ძველის-ძველი
ულამაზესი ჰარმონია:
ყოველ მეათე დედაკაცში
დღეს მამაკაცის ჰორმონია!



ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

1 – 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015 | № 26 (290) | 15

7 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზში“ სწავლება კიდევ ორმა უცხოელმა ექიმმა გაიარა

კოსმოსში გაგზავნილ „ჩაკრულობზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენს უნიკალურობას ხაზს ბევრი სხვა რამეც უსვამს. ასე, მაგალითად, ქართული მედიცინა, კერძოდ, პლასტიკური ქირურგია, რომლის ექსპორტიც მთელ პლანეტაზე „ხდება“. ყოველ შემთხვევაში, თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზის“ ხელმძღვანელს, ესთეტიკური მედიცინის ამერიკული აკადემიის პროფესორს, თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო და აზიის ასოციაციების წევრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ აკაკი წილოსანს მსოფლიოში კარგად კი არა, ძალიან კარგად იცნობენ: გარდა იმისა, რომ აკაკი ოპერაციებს ორივე კონტინენტზე წარმატებულად ატარებს, თმის ტრანსპლანტაციის უნიკალური მეთოდის შესასწავლად, „თალიზ“-ში აზიიდან, აფრიკიდან, ევროპასა თუ სამხრეთ ამერიკიდან ექიმებიც ხშირად ჩამოდიან. ორკვირიანი სწავლება მხოლოდ პროფესიული ცოდნის დაუფლებას კი არა, საქართველოს ისტორიის გაცნობასა და ჩვენი ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებასაც ითვალისწინებს... ახლახანს, კლინიკაში სწავლება კიდევ ორმა უცხოელმა გაიარა: ექიმი ჰენსენი აღმოსავლური წარმოშობის ბრიტანელია, ნიკალაი ნაუმოვი კი, – სანკტპეტერბურგელი პლასტიკური ქირურგი, რომელიც 7 წელია, ყბასახის ქირურგიაში მოღვაწეობს... აკაკი წილოსანის უცხოელ შეგირდებთან საუბარს, ცხადია, იმის გარკვევით ვიწყებ, თუ როგორ გაიგეს და, საერთოდ, სწავლების გავლა „თალიზ“-ში რატომ გადაწყვიტეს.

ექიმი ჰენსენი: – ვეძებდი კლინიკას, სადაც განსხვავებულ და საუკეთესო სწავლებას გავივლიდი. ინტერნეტში „თალიზი“-ს ვებ-გვერდი ვნახე და მაშინვე გადავწყვიტე, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი. იცით, სხვა სწავლებებს „თალიზი“ რატომ ვამჯობინე? – იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ეს ორკვირიანი სწავლებაა. მეორეც, საშუალება მაქვს, რომ ოპერაციებში მონაწილეობა უშუალოდ მივიღო.

ნიკალაი ნაუმოვი: – მას შემდეგ, რაც თმის გადანერგვით დავინტერესდი, ისეთი სკოლის ძებნა დავიწყე, რომელიც ამ სფეროში სათანადო გამოცდილებას მომცემდა. სამწუხაროდ, პეტერბურგში ამის საშუალება არ მომეცა. ამასობაში, ჩემმა ახლობელმა „თალიზ“-ში თმა გადაინერგა და მირჩია, რომ საქართველოში წამოვსულიყავი, რადგან „თალიზი“-ს გუნდი საუკეთესო ცოდნას მომცემდა.

– თქვენს ქვეყნებში თმის ტრანსპლანტაცია პოპულარულია?

ექიმი ჰენსენი: – დიახ, დიდ ბრიტანეთში თმის გადანერგვაზე ძალიან დიდი მოთხოვნაა, მათ შორის, მხოლოდ ე.წ. სელებრითებში კი არა, რიგით ადამიანებშიც.

ნიკალაი ნაუმოვი: – სანკტპეტერბურგში თმის გადანერგვით სულ სამი-ოთხი ექიმია დაკავებული. აქედან ორთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. მესამეს კი, შევხვდი და შევთავაზე, რომ სწავლაში ფულს გადავუხდიდი, მაგრამ უარი მითხრა, არ მინდა, კონკურენცია გამიწიოო. სხვათა შორის, „თალიზ“-ში სწორედ იმ კლინიკის ხელმძღვანელობამ გამომაგზავნა, სადაც ეს ქალბატონი მუშაობს. ასე რომ, როცა ჩემს ქვეყანაში დავბრუნდები, კონკურენტი აუცილებლად იქნება!

ექიმი ჰენსენი: – ვერ ვიტყვი, რომ ბრიტანეთში თმის ტრანსპლანტაციით ბევრი ექიმია დაკავებული, თუმცა ბევრია ფირმა, რომელსაც პაციენტები, ე.წ. სამედიცინო ტურიზმის სახით, სხვა ქვეყნებში გაჰყავს.

– ბატონებო, როცა თმის ტრანსპლანტაციაში წარმატებას მიაღწევთ, ხომ არ დაივიწყებთ, რომ თქვენი პედაგოგი აკაკი წილოსანი და, საერთოდ, „თალიზი“-ს გუნდია?

ექიმი ჰენსენი: – ბატონი აკაკი ყოველთვის ჩემი მენტორი იქნება. ესაა ადამიანი, რომელსაც მოსწონს, რომ თავის ცოდნას გასცემს. სამწუხაროდ, ბევრი ექიმი ასე არ იქცევა. ისე, ვიდრე აქ ჩამოვიდოდი, საქართველოზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ რუსეთთან ტერიტორიული პრობლემები აქვს... აქაურობა ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით დიდ მადლობას „თალიზი“-ს გუნდს ვუხდი – „თალიზ“-ში თავს ნებისმიერი ეროვნების ადამიანი კარგად გრძნობს!

ჯერ მხოლოდ ოთხი დღეა, რაც სწავლებას გავდივარ, მაგრამ 75 პროცენტით უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ოპერაციის ჩატარება დამოუკიდებლად შეძიძლია. წინ კიდევ ათი დღე მაქვს და, სწავლება რომ მორჩება, ჩემს შესაძლებლობებში 100 პროცენტით ვიქნები დარწმუნებული, რაც, რა თქმა უნდა, აკაკი წილოსანისა და „თალიზი“-ს გუნდის დამსახურებაა! ამიტომ, უკვე მარკეტინგზე ვფიქრობ – ბრიტანეთში რომ დავბრუნდები, პაციენტები როგორ შევკრიბო.

ნიკალაი ნაუმოვი: – სანკტპეტერბურგში კლინიკა უკვე მელოდება. ამიტომ, როგორც კი სწავლება დამთავრდება და სამშობლოში დავბრუნდები, მაშინვე საქმეს შევუდგები.

ექიმმა ჰენსენმა და **ნიკალაი ნაუმოვმა საქართველო უკვე დატოვეს – ორკვირიანი სწავლების დასრულების შემდეგ, თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზი“-ს ხელმძღვანელმა, აკაკი წილოსანმა, რომელიც, რა დაგიმალოთ და, ნამდვილი ჯადოქარია, უცხოელებს სპეციალური სერთიფიკატები გადასცა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰენსენი და ნაუმოვი თავიანთ ქვეყნებში წარმატებას ქართული ცოდნით მიაღწევენ.**

ისე, ისიც მნიშვნელოვანია, რომ „თალიზ“-ს ფილიალები რამდენიმე ქვეყანაში აქვს, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ თმის გადანერგვის ქართული კლინიკა ჭეშმარიტად მსოფლიო ბრენდია. ჰოდა, აკი, ადრეც გითხარით: თუკი კეპი, ანუ სიმელოტე ნერვებს გიშლით, ბევრი აღარ იფიქროთ – კლინიკა „თალიზ“-ს ესტუმრეთ და აკაკი წილოსანი, თავის გუნდთან ერთად, ცხოვრების ხალისს დაგიბრუნებთ!

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

16 | № 26 (290) | 1 – 7 ივლისი 2015

ქართული ენა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზეპირსიტყვიერება. ჟურნალისტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ახალი თაობა

რა ხდება თბილისის ღამის კლუბებში

რას ნიშნავს „დაბლოკვა“, რატომ სვამენ ალკოჰოლს კლუბში შესვლამდე და ვინ არიან ნამდვილი „ქლაბერები“

დასალევი, გართობა, უძილობა – ეს ის კრიტერიუმებია, რომელთა დაკმაყოფილებაც ადამიანს ხელს უწყობს, „ჭეშმარიტ ქლაბერად“ ჩამოყალიბდეს. საქართველოში რთული კი არა, პირიქით, ძალიან მარტივია, „ქლაბერი“ გახდე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში გასართობი კლუბები მომრავლდა და მათდამი დამოკიდებულებაც ნელ-ნელა იცვლება, ბევრი მაინც ფიქრობს, რომ ღამის კლუბი იგივე სტრიპტიზ ბარი, ან ბორდელია...

თბილისში არსებული ღამის კლუბების მუშაობის განრიგი თითქმის ერთნაირია – პარასკევი და შაბათი საღამო. ივენთების დეფიციტი არც კვირაობითაა, მაგრამ პარასკევს, 5-დღიანი გადაბმული მუშაობის შემდეგ, განტვირთვა ყველა ახალგაზრდას და არა მარტო ახალგაზრდას სურს. ასე რომ, „ქლაბერები“ შეკრებასა და გართობისთვის მზადებას ღამის 11-დან იწყებენ. იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის კლუბების 90%-ში ბიჭების რაოდენობა გოგოებისას ორჯერ აღემატება, კლუბში სუსტი სქესის წარმომადგენელთა შესვლა ხან უფასოა, ხან ყოველგვარი Face & Age კონტროლის გარეშე შედიან.

ვისაც ევროპის ღამის ცხოვრება უნახავს, თვლის, რომ თბილისური კლუბები ევროპულთან ვერასდროს მივა. იმ დონემდე მისვლას, ალბათ, ნატო-ში შესვლაც არ უშველის. რატომ? – იმიტომ, რომ ყველანაირ გზას მაინც ქართულ მენტალიტეტამდე მივყავართ: თუ „კაიბიჭებმა“ კლუბში ყველანარი კონტროლის გავლის შემდეგ შეაღწიეს, „ხიპიშს“ იწყებენ და... თვლიან, რომ ღამის კლუბი ის ადგილია, სადაც გოგოებს ყველაზე მარტივად, ხელის ერთი მოქნევით „შეაბამენ“.

თბილისში კლუბური გართობის მოყვარულთა ასაკი 18-დან 35 წლამდეა, თუმცა არის ადგილები, სადაც უფრო ასაკოვანი ხალხიც ერთობა, მაგრამ ეს კლუბი კი არა, უფრო კლუბის მსგავსი ბარია – მყუდრო სიტუაცია, ჩილიმი და ჩაი...

დედაქალაქში რამდენიმე პრესტიჟული და პოპულარული კლუბია, სადაც შესვლა 20 ლარი ღირს, მაგრამ თუ სერიოზული „DJ“-ია ჩამოსული, მაშინ ბილეთის ფასიც ავტომატურად – 35-50-ლარამდეა გაზრდილი. არის ადგილები, სადაც შესვლა უფასოა, მაგრამ Face & Age კონტროლის გავლა აუცილებელია. ე.წ. დაბლოკვისას ახალგაზრდები, უფრო ბიჭები, კლუბთან „აბირჟავებენ “ და დაცვას „ტვინს უბურღავენ“, რომ შეუშვას. ეს ლაქლაქი ამაოა, თუმცა გამოსავალიც არსებობს: თუ 5-6 ბიჭიდან 4 „დაბლოკეს“, მაშინ კლუბში შესვლა ცალ-ცალკე, უცხო გოგოსთან ერთად უნდა სცადონ. ზოგჯერ ეს მეთოდი ამართლებს, ზოგჯერ კი – არა...

ჩვენებურ ღამის კლუბებში მხოლოდ ჩხუბი კი არა, დაჭრაც გახშირდა...

საინტერესოა იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ღამის ცხოვრება უფრო აქტიური და აქტუალურია, სადაც კლუბში გართობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე – მხოლოდ ვინმეს „აგდება“. ქართული კლუბების უმრავლესობაში საცეკვაო სივრცეც კი შეზღუდულია – ხელი რომ მოიქნიო, აუცილებლად ვიღაცას მოარტყამ და ვაითუ, ვინმე „ძველს“ გაარტყი, სამაგიეროსაც მიიღებ...

სწორედ საცეკვაო სივრცესა და ხარისხიან მუსიკას ითხოვენ ნამდვილი „ქლაბერები“.

ისევ იმას დავუბრუნდეთ, თუ როგორ უნდა შეაღწიო „დაბლოკვის“ მერე კლუბში. რომ ვთქვა, დიდი „ქლაბერი“ ვარ-მეთქი, ამ იარლიყს დაუმსახურებლად მივიწებებ, მაგრამ მეგობრებთან ერთად გართობაზე უარს არ ვამბობ. სწორედ ჩემს თვალწინ საინტერესო და სახალისო ამბავი მოხდა: უცებ, კარს ხალხის ურიცხვი რაოდენობა მოაწყდა და, ჩემდა გასაკვირად, თითქმის ყველა შემოუშვეს, რატომ? – თურმე, კლუბში ვინმე ასათიანი ყოფილა, რომელსაც ყველა იცნობს და ყველა კლუბში, ალბათ, VIP სტატუსი აქვს. ჰოდა, კლუბში ყველა შემსვლელი, იცნობდა თუ არა, ამტკიცებდა, ასათიანთან ერთად ვარო. დაცვასაც, სხვა რა გზა ჰქონდა, ყველა შეუშვა. ამის გამო კლუბში ისეთი „ბარდაგი“ ატყდა, რომ იქ გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიუანსი: კლუბში სასმელს მხოლოდ ისინი ყიდულობენ, ვინც „სატუსოვკოდ“ ძვირადღირებული ავტოებით მოდიან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კლუბში ერთი ჭიქა არაყი, მინიმუმ, 10 ლარი ღირს. ამიტომ, ალკოჰოლს უმეტესობა „ივენთზე“ შესვლამდე, სადმე მოფარებულში იღებს...

საინტერესოა გოგონების შეხედულება კლუბებზე. გართობა მათაც ძალიან უნდათ და ამიტომ უამრავ ტყუილს იგონებენ. არადა, მშობლებს ჰგონიათ, რომ შვილები მეგობრებთანა არიან და საგამოცდოდ ემზადებიან. სინამდვილეში კი, უცხო ბიჭებთან ან თუნდაც, მარტოები ცდილობენ ღამის კლუბში „რიტმის“ დაჭერას. ცალკე საკითხია, თუ რა შედის ამ „რიტმში“.

ბოლოს, ყველაზე გახმაურებული „ივენთი“, დაახლოებით, ერთი თვის წინ გაიმართა – საქართველოში ცნობილი DJ ბინიაკი ჩამოიყვანეს და ბილეთების რეკორდული რაოდენობაც გაიყიდა...

მოკლედ, თუკი გინდათ, რომ კლუბში კარგად გაერთოთ, ჯიბეში 10 ლარზე ოდნავ მეტი უნდა გქონდეთ და თუ მეტს ვერ შოულობთ, მაშინ გირჩევთ, ეს ათი ლარი ლუდში დახარჯოთ!

ბევრი თვლის, რომ კლუბში „შებოჭილი ხალხის“ წასვლა საჭირო არაა, რადგან კლუბი „უკომპლექსოთათვისაა“. შეიძლება, ასეცაა, მაგრამ მეორეს მხრივ, კლუბმა „შებოჭილი“ შეიძლება, უფრო „გახსნას“. მოკლედ, ცდა ბედის მონახევრეაო...

გიორგი ნემსიწვერიძე

სტოპკადრი

მთავრობა ტელევიზიებს მილიონ 73 ათას ლარს უკან უბრუნებს

მთავრობა ქართულ ტელევიზიებს მილიონ 73 ათას ლარს უკან უბრუნებს. გადაწყვეტილება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლიდან გამომდინარე იქნა მიღებული.

მიმდინარე წლის 17 ივლისიდან მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად სატელევიზიო მაუწყებლებს ლიცენზირების რეჟიმი გაუუქმდებათ და ტელევიზიების საქმიანობას განაგრძობენ ავტორიზაციის გზით.

საქართველოს მთავრობა 30 ტელევიზიას, რომელთა შორის 21 რეგიონალური ტელევიზიაა, მილიონ 73 ათას ლარს უკან დაუბრუნებს.

„ეკონომიკის სამინისტრო უზრუნველყოფს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე საეთერო, სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელების მიერ წინასწარ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებლის უკან დაბრუნებას ლიცენზიის ვადის დარჩენილი დროის პროპორციულად. საერთო ჯამში კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 30 მაუწყებელს უკან დაუბრუნებს მილიონ 73 ათას ლარს, რომელიც უკვე გამოიყო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან“, – აცხადებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე.

„ტაიმერ.გე“

ათენში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მგზავრობა დროებით უფასო გახდა

საბერძნეთის მთავრობამ ათენში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ერთი კვირით გადასახადი გააუქმა. ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრი ხრისტოს სპირტზისი აცხადებს, რომ მოქალაქეებს ტრამვაით, ავტობუსითა და მეტროთი უფასოდ მგზავრობის შესაძლებლობა მიეცემათ.

საუბარი იყო ელექტროენერგიის გადასახადის დროებით გაუქმებაზეც, თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება მთავრობას ჯერ არ მიუღია. ტრანსპორტის მინისტრის განცხადებით, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადასახადის დროებით გაუქმების გადაწყვეტილება ბანკების დახურვას და „ბანკომატებიდან“ თანხის გატანაზე შეზღუდვების დაწესებას უკავშირდება.

ბანკების დახურვა მოსახლეობაში პანიკის გამო მნიშვნელოვანი ზარალის თავიდან აცილების მიზნით გადაწყდა. საბერძნეთის მთავრობა საერთაშორისო კრედიტორებთან შეთანხმების მიღწევას ვერ ახერხებს, რის გამოც, მოსალოდნელია დეფოლტი. მოსახლეობა შიშობს, რომ ისინი ფულის გარეშე დარჩებიან, ამიტომაც ბოლო პერიოდში მოქალაქეების დიდმა ნაწილმა ბანკებიდან დიდი რაოდენობის თანხა გაიტანა.

„ინტერპრესნიუსი“

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

1 – 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 26 (290)

7 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ „ᲝᲛᲝᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

2 ივლისს, ბათუმის „დინამო“ უეფას ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე კვიპროსის „ომონიას“ დაუპირისპირდება. შეხვედრა ზესტაფონში, დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე გაიმართება. ქართველი ფეხბურთელები მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადებიან. „ერთ-ერთი ურთულესი მეტოქე შეგვხვდა, მაგრამ დანებებას არ ვაპირებთ. ვიბრძოლებთ და შედეგიც მოვა. გულშემატკივრებს ვპირდებით, ბოლომდე ვიბრძოლებთ“, – ამბობს თეიმურაზ შონია. დაძაბულ სავარჯიშო გრაფიკთან ერთად, მოლოდინმაც იმატა. ორ ივლისამდე არცთუ დიდი დროა. რა მოხდება გამარჯვების შემთხვევაში, გუნდი რომელ ეტაპზე გადაინაცვლებს? – ვეკითხები ფეხბურთელებს. „თუ ამ გუნდის დამარცხება შევძელით, მეორე ეტაპზე გავალთ და მომდევნო მატჩშიც ძლიერი გუნდი შეგვხვდება“, – მპასუხობს ᲐᲜᲖᲝᲠ ᲡᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

– ისე, ანზორ, რომელ ცნობილ გუნდში ითამაშებდი?

– „ბარსელონაში“... ამ გუნდში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა.

– ბათუმის „დინამოში“ რომელი წლიდან თამაშობ?

– 2013 წელს გადმოვედი... კონტრაქტი ერთ წელიწადში მიმთავრდება.

– კარიერის გაგრძელებას საქართველოში აპირებ?

– პასუხის გაცემა ჯერჯერობით მიჭირს... ამაზე არ მიფიქრია.

– ჩვენთან ფეხბურთი წარმატებულია?

– ყოველ შემთხვევაში, პოპულარულია...

– რომელი ნომრით თამაშობ?

– ადრე 11-ნომრიანი მაისურით ვასპარეზობდი. ახლა ბათუმის „დინამოში“ კი, ჩემი ნომერი 99-ია.

– კვიპროსის „ომონიაზე“ რას ფიქრობ?

– გამოცდილი გუნდია. ევროპის ლიგის გასული სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა. ვეცდებით, ღირსეული მეტოქეობა გავუწიოთ და ქომაგებს იმედი არ გავუცრუოთ. როგორც ჩვენი ნახევარმცველი, თეიმურაზ შონია ამბობს, შედეგი ბრძოლით მოდის

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲚᲘᲙᲐ ᲐᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქართული სტუჭა

ეროვნული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ARA-ჩვეულებრივი გვერდი







პლანეტის ყველაზე ელეგანტური მამრებია

პოპულარულმა ჟურნალმა GQ-მა 2015 წლის ელეგანტურ მამაკაცთა რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელსაც ჯგუფ One Direction -ის წევრი, 21 წლის ჰარი სტაილსი ლიდერობს. მეორე ადგილზე ინგლისელი DJ მარკ რონსონია, მესამეზე კი – ამერიკელი შემსრულებელი ფარელ უილიამსი.

რეიტინგში, ასევე, მოხვდნენ: ჯგუფ 30 შეცონდს to Mars-ის სოლისტი ჯარედ ლეტო, კიმ კარდაშიანის ქმარი, რეპერი კანიე უესტი, დევიდ ბექჰემი, ბრედ პიტი, კრიშტიანუ რონალდუ და ბრედლი კუპერი.

მოკლედ, მსოფლიოს ელეგანტური მამრების ტოპ-20 ასეთია: ჰარი სტაილსი; მარკ რონსონი; ფარელ უილიამსი; ASAP Rocky; კანიე უესტი; ჯეიდენ სმიტი; ჯარედ ლეტო; რასელ უესტბრუკი; ლებრონ ჯეიმსი; ედი რედმეინი; ჯეფ გოლდბლიუმი; ჯონ მეიერი; ბრედლი კუპერი; ჯეი-ზი; რაიან გოსლინგი; დევიდ ბექჰემი; ბრედ პიტი; კრიშტიანუ რონალდუ; დენიელ კრეიგი და მარიო ბალოტელი.

„ტიტანიკისა“ და „ავატარის“ კომპოზიტორი ტრაგიკულად დაიღუპა

„ტიტანიკის“, „ავატარის“, „სტარ ტრეკისა“ და „ბრწყინვალე გონების“ კომპოზიტორი, 61 წლის ჯეიმზ ჰორნერი კალიფორნიაში, თვითმფრინავის ჩამოვარდნისას დაიღუპა. აღასანიშნავია, რომ მცირე ზომის თვითმფრინავს თავად ჰორნერი მართავდა. საფრენმა აპარატმა კატასტროფა სანტა-ბარბარადან 100 კილომეტრის დაშორებით განიცადა. ავიაკატასტროფის მიზეზები უცნობია.

1998 წელს, ფილმ „ტიტანიკისთვის“ ჰორნერმა ნომინაციებში – „საუკეთესო მუსიკა“ და „საუკეთესო სიმღერა“ ორი „ოსკარი“ მიიღო.

კომპოზიტორს, ასევე, ნამუშევარი აქვს ცნობილ ფილმებზე – „კასპერი“, „ჯუმანჯი“, „მამაცი გული“, „ტროა“ „ზოროს ნიღაბი“ და „ახალი ადამიანიობობა“.

ბრედი ანჯელინასგან გარბის

ჰოლივუდელი მოენეები ირწმუნებიან, რომ თანამედროვე მსოფლიოს სექსსიმბოლოებს – ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტს ურთიერთობა ისე დაეძაბათ, რომ განქორწინება გადაწყვიტეს.

„ბრედმა ანჯელინასთან განქორწინების საბუთები უკვე მოამზადა. ჯოლისთვის ქმრის გადაწყვეტილება ცნობილია“, – წერენ ტაბლოიდები და აცხადებენ, ყველაფერ ამის მიზეზი ანჯელინაა.

„ანჯელინა ყველაფერს თავად აკონტროლებს. პიტს უნდა, მისი დესპოტიზმისგან საბოლოოდ გათავისუფლდეს“, – აცხადებენ თვითმხილველები.

შეგახსენებთ: ჯოლისა და პიტის რომანი 2004 წელს, ბრედისა და ჯენიფერ ენისტონის განქორწინებისთანავე დაიწყო. ვარსკვლავურ წყვილს ექვსი შვილი ჰყავს, აქედან, სამი ბიოლოგიური შვილია, სამიც – ნაშვილები.

ათწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, წყვილმა ხელი შარშან, 23 აგვისტოს მოაწერა.

ბარბარა ბრილსკა რუსეთში პერსონა „ნონ გრატად“ გამოაცხადეს

73 წლის პოლონელი მსახიობი ბარბარა ბრილსკა, რომელიც ცნობილ ფილმ „ბედის ირონიაში“ მთავარ როლს ასრულებს, რუსეთში პერსონა „ნონ გრატად“ გამოაცხადეს. ამის მიზეზი კი, ბრილსკას პოზიციაა – ის უკრაინის მიმართ რუსეთის პოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებს. გარდა ამისა, ბარბარამ უკრაინელების მხარდასაჭერად საგანგებო მიმართვაც გაავრცელა, რაც კრემლმა, ცხადია, ვერ აიტანა და ბრილსკა მკაცრად „დასაჯა“ – რუსეთში ჩასვლა სამუდამოდ აუკრძალა!

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲠᲐ-ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

„ᲡᲝᲢᲑᲘᲡ“ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲝᲜᲔᲡ „ᲘᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲖᲐᲛᲑᲐᲮᲔᲑᲘ“ 17 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ

კლოდ მონეს „იისფერი ზამბახები“ სოტბის აუქციონზე 10,8 ფუნტ-სტერლინგად, ანუ 17 მილიონ დოლარად გაიყიდა. ამასთან, აუქციონზე პაბლო პიკასოს „თავი“-ც იყო გამოტანილი, რომელშიც უცნობმა 7 მილიონი დოლარი გადაიხადა, მარკ შაგალის „ყვავილები ფანჯარასთან“ კი, 5 მილიონ დოლარად შეიძინეს. აუქციონზე ოგიუსტ როდენისა და სისლეის ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი. ამ ვაჭრობიდან „სოტბის“ აუქციონის სახლმა, მინიმუმ, 112,9 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო.

65 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲒᲘᲠᲡ 32 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ

სახელოვანი ჰოლივუდელი, რიჩარდ გირი იტალიაში, კერძოდ, სიცილიის სანაპიროზე, როგორც თვითმხილველები ამბობენ, ახალ მეგობარ გოგონასთან ერთად ისვენებს. ამბობენ იმასაც, რომ რიჩარდის ამჟამინდელი რჩეული 32 წლის ესპანელი ალეხანდრა სილვაა.

„შეყვარებულები მზეს ეფიცხებოდნენ. სილვა რიჩარდზე განსაკუთრებულად ზრუნავდა — სახეზე მზის დამცავ საცხს უსვამდა. დიდი ასაკობრივი სხვაობის გამო, წყვილი მამა-შვილს უფრო ჰგავდა, ვიდრე — შეყვარებულებს“, — ამბობენ ჟურნალისტები, რომელთა მონაცემებითაც, წყვილმა ერთმანეთი ერთი წლის წინ გაიცნო.

ასევე, ცნობილია, რომ ალეხანდრა განათხოვარია და ყოფილი ქმრის ალიმენტის წყალობით, ფუფუნებაში ცხოვრობს. მისი ექსქმარი ამერიკელი მაგნატის, რობერტ ფრიდლანდის ვაჟი, გოვანდია, რომლის ქონებაც 1,8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

რაც შეეხება რიჩარდ გირს, ახლახან, მრავალწლიანი ქორწინების შემდეგ, კერი ლოუელს დაშორდა, რომელთანაც ვაჟი ჰყავს. აბობენ, რომ რიჩარდმა ეს ქორწინება რელიგიის გამო დაასრულა — ის ბუდისტია.

ᲚᲝᲜᲩᲘᲢᲐ ᲒᲐᲨᲘᲨᲕᲚᲓᲐ

ავსტრიელი მომღერალი, „ევროვიზია-2014“-ის გამარჯვებული კონჩიტა ვურსტი, ანუ იგივე ტომ ნოიბირტი ჟურნალ Rolling Stone-ის გერმანული გამოცემისთვის გაშიშვლდა. ამასთან, ჟურნალის ახალ ნომერში მომღერალზე ვრცელი მასალა — „კონჩიტა ვურსტის მეორე სიცოცხლე“ გამოქვეყნდება.

ცნობისთვის: ამერიკული ჟურნალ ღოლლინგ შტონე-ის პირველი ნომერი 1967 წელს გამოვიდა და დღემდე, მსოფლიოში მუსიკისა და პოპ-კულტურის შესახებ ყველაზე ავტორიტეტულ გამოცემად ითვლება.

ᲓᲘᲔᲢᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ

მომხიბვლელი ფიზიკური ფორმა და დიეტა განსაკუთრებით აქტუალური ზაფხულში, ზღვის სეზონის დროსაა. შესაბამისად, „ეისითი“ დაინტერესდა, რამდენად აწუხებთ წონის პრობლემა თბილისელებს და რა საშუალებებით ცდილობენ მასთან გამკლავებას. როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, 10-დან 7 თბილისელი არასოდეს ყოფილა დიეტაზე. დიეტას უმეტესად დიაცები იცავენ.

იმ გამოკითხულთა უმრავლესობა (65%), რომელსაც დიეტა დაუცავს, მას წონის კორექციის მიზნით მიმართავს, თუმცა საკმაოდ ბევრია იმ ადამიანების წილიც, ვინც კვებით რაციონს ჯანმრთელობის პრობლემების გამო ზღუდავს (48%).

ყოველი მეორე თბილისელი (52%), ვისაც დიეტა ერთხელ მაინც დაუცავს, თავად განსაზღვრავს კვების რაციონს, 39% სპეციალისტის რეკომენდაციით სარგებლობს, 13% კი, ნაცნობ-მეგობრების მიერ აპრობირებულ დიეტას ირჩევს. „ეისითი“, ასევე, დაინტერესდა, იყენებენ თუ არა დიეტაზე მყოფნი სხვადასხვა სახის გასახდომ აბებს. როგორც აღმოჩნდა, გასახდომი აბები არცთუ პოპულარულია (დიეტაზე მყოფთა 6%-ს დაულევია გასახდომი აბები); ამასთან, ის, ვისაც გასახდომი აბების მიღების გამოცდილება აქვს, აღნიშნავს, რომ მათი მეშვეობით წონის დაკლება ვერ შეძლო.

გამოკითხვა 405 ზრდასრულ თბილისელს შორის ჩატარდა და მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება 4.9% არ აღემატება.

თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმის – „მესხეთის“ გადასაღები მოედანი

ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯანსულის სიცილნათელები

ჩარეცხილთა გამო

არვის გავხარ,
შენ მარადის შენა ხარ,
გეზიზღება –
მეცნიერი, მწერალი,
შენ პარნასზე
ვერასოდეს ვერ ახვალ,
პარნასია
ჩარეცხილთა მწვერვალი.

„ნაცებო“!

„სუფთა“ გაქვთ ხელები
და ნუღარ ოხრავთ,
თქვენა ხართ მკვლელები
და ისევ მოხვალთ.

დევალვაცია

ჩვენში რთველიც აღარ რთველობს,
შური შურს ვერ გასცლია,
მოახერხეს საქართველოს
ნაღდი დევალვაცია.

„ყველა ციხეში“

ვახმე, ჩავვარდით
კვლავაც სხვის ხელში,
კვლავ დაბრუნებას
აპირებს „ბანდა“.
„ყველა ციხეში,
ყველა ციხეში,“
რაღა თქმა უნდა, –
მიშიკოს გარდა!

რომანტიზმი

შენ რაც გინთებს,
რომ იცოდე, ო, რა მტრის მზეა,
ამაღლებული განწყობა კი.
რომანტიზმია.
შენ არც ცაში ხარ,
სამწუხაროდ, არც მიწაზე ხარ,
შენ აზრი არ გაქვს
და ბოროტი კაცის აზრზე ხარ!

კაცთმოძულეს!

აგდიოდა სუნი ყავის.
ხშირად გქონდა დღე ბოდვის,
კაცთმოძულე თუ იყავი,
რა ვქნა, ვერა ვხვდებოდი.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით